

დათო ტურაშვილი

არის ასეთი ქალაქი

ჭიათურელი მაღაროელის სიზმარი

(ორ მოქმედებად)

“ვისაც არ უნახავს შენი გაზაფხული, მან არ იცის რა არის სამოთხე.”

არტურ ლაისტი

მოქმედი პირები:

გონა - ზე ენერგიული ახალგაზრდა მაღაროელი,
ბაბუა კოტე ღვალაძე - ყველაზე ასაკოვანი მაღაროელი კაცობრიობის ისტორიაში,
მუშა-კომენტატორი,
ჭიათურელი გიდი გამგებოებიდან - ახალგაზრდა ქალი
მთავარი სტუმარი სამინისტროდან,
სხვა სტუმრები იმავე სამინისტროდან,
ჟურნალისტი გოგო,
ბრიგადირი,
ფარისეველი ხვინა (შემთხვევითი მაღაროელი)
ქვევრიპიდე, ამჟამად მაღაროელი,
ბახვა ბრეგვაძე (მსახიობობაზე მეოცნებე მაღაროელი),
დანარჩენი მაღაროელები (მათი რაოდენობა ამ პიესის მომავალმა დამდგმელმა რეჟისორმა
თავად უნდა გადაწყვიტოს იმის მიხედვით, თუ როგორ სცენაზე განხორციელდება
სპექტაკლის დადგმა),
და ადგილობრივი ანგელოზები...

სცენაზე რამდენიმე მაღაროელია (დიდი ბოთლებით ხელში) და ისინი ნელა, აუჩქარებლად მიირთმევენ რძეს ან მაწონს. ზოგიერთები სხედან, ზოგიერთები დგანან (და ისე მიირთმევენ) და მათ შორის ერთი კი (ფარისეველი ხვიჩა), შეუსვენებლად მოძრაობს და მიდი-მოდის და ჭამის დროს, საშინლად აწკლაპუნებს პირს და მაღაროს სიჩუმეს, სწორედ ეს ხმა არღვევს. სცენაზე ჩანს მატარებლის პატარა ვაგონიც, რომელიც ისეთი ზომისაა, როგორც მაღაროებში გამოიყენება და მაღაროელი მუშებიც, ამ პატარა ვაგონებით გადაადგილდებიან. (ამ ვაგონს ქართულად, სხვათა შორის, რონოდი ჰქვია, მაგრამ ეს სიტყვა, ჩვენ ლექსიკაში, უბრალოდ ვერ დამკვიდრდა). მალე სცენაზე ბრიგადირიც ჩნდება, რომელიც ყველას გასაგონად, ხმამაღლა ამბობს:

ბრიგადირი (საათს დახედავს):

– ათ წუთში ვაგრძელებთ

(ბრიგადირის რეპლიკას არავინ აქცევს ყურადღებას და მაღაროელებიც ჭამას ისევ აგრძელებენ და ცოტა ხანში კი, სცენაზე, ჰალსტუდიანი ადამიანების ჯგუფი შემოდის. სტუმრების ამ პატარა ჯგუფს, წინ ადგილობრივი გიდი მოუძღვება (ალბათ ადგილობრივი გამგეობიდან), რომელიც განსაკუთრებული მონდომებით, კონკრეტულად ერთ ადამიანს, აშკარად მთავარ სტუმარს მიმართავს):

გიდი (მთავარ სტუმარს):

– და როგორც ხედავთ, ჩვენს მაღაროელებს, აქ დასვენების დრო და საშუალებაც კი აქვთ...

სტუმარი:

– დიახ...

გიდი:

- სწორედ ეს არის ზემოხსენებული ისტორიული მაღარო, რომელიც ჯერ კიდევ ჰარიმანის დროს არსებობდა

სტუმარი:

- დიახთ

(მუშებს გამოეყოფა ერთ-ერთი მათგანი, რომელიც ავანსცენისკენ გადმონაცვლებს და მაყურებელს ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით მიმართავს)

კომენტატორი:

- დიახ, ეს არის მაღარო, რომელიც ჯერ კიდევ ჰარიმანის დროს არსებობდა, ჯერ კიდევ ასი წლის წინ და მე კი ვარ ამ პიესის პერსონაჟი, რომელიც ავტორმა, თქვენი დახმარების მიზნით მოიგონა - თან მუშა ვარ და თან კომენტატორი. რაც შეეხება ჰარიმანს...

გიდი (მთავარ სტუმარს):

- თუმცა ჭიათურაში, ყველაზე ძველი მაღარო, არა ამერიკელი კომერსანტი ჰარიმანის, არამედ ქართველი პოეტის, აკაკი წერეთლის სახელთან არის დაკავშირებული

სტუმარი:

- დიახთ

კომენტატორი (მაყურებელს):

– ბოდიში რომ გამაწყვეტინეს, მაგრამ მინდოდა თქვენთვის ორიოდე სიტყვა მაინც მეთქვა იმ კომერსანტ ჰარიმანის შესახებ, რომელიც ამერიკიდან ჭიათურაში, ოციან წლებში ჩამოიყვანეს, თორემ აკაკის შესახებ, ალბათ ისედაც ყველაფერი იცით...

გიდი (სტუმარს):

– აკაკის ლექსი ხომ გახსოვთ ჭიათურაზე?

სტუმარი:

– დიახ...

(თუმცა მთავარ სტუმარს ის ლექსი აშკარად არ ახსოვს და ამას სხვებიც ხვდებიან).

კომენტატორი:

– მოკლედ იმის თქმა მინდოდა, რომ საქართველოში, აკაკი წერეთლის შესახებ, ისედაც ყველამ ყველაფერი იცის (კომენტატორი მთავარი სტუმრისკენ გაიხედავს), ზოგიერთების გარდა რასაკვირველია და ამიტომ მხოლოდ იმ ამერიკელ ჰარიმანზე მოგახსენებთ, რომელიც ოციან წლებში საბჭოთა კავშირში ჩამოიყვანეს როგორც უმდიდრესი კომერსანტი, ვისაც ჭიათურაში მარგანეცის წარმოება უნდა აეღორძინებინა...

(სანამ კომენტატორი დარბაზს მიმართავს და ჰარიმანზე საუბრობს, მთავარი სტუმარი, დანარჩენებთან ერთად, მაღაროს ათვალიერებს და ცდილობს რომ ძალიან სერიოზული და კომპეტენტური სახე ჰქონდეს).

გიდი:

– აკაკი პოეტი იყო, მაგრამ მაშინ პოეტები, მხოლოდ ლექსებს არ წერდნენ და მაგალითად ილია, როგორც მოგეხსენებათ, ბანკშიც კი მოღვაწეობდა

სტუმარი:

– დიახთ...

გიდი:

– ჰოდა აკაკიმაც გადაწყვიტა რომ მშობლიური იმერეთისთვის მაინც ეშველა და ფული ისესხა რომ მარგანეცის წარმოება დაეწყო (უცებ გიდი მალაროელებს შორის ასაკოვან ბატონ კოტეს აღმოაჩენს და ხელის ჩამორთმევით მიესალმება) აი, ბატონ კოტეს კი ემახსოვრება აკაკის მონდომება...

(ყველას ეღიბება ამ ხუმრობაზე და მათ შორის ბატონ კოტე ღვალაძესაც, რომელიც მართლა ძალიან ასაკოვანი ჩანს).

კომენტატორი:

– თუმცა ამერიკელ ჰარიმანს, ოცი წლით დადებული ხელშეკრულება, ბოლშევიკებმა ორ წელიწადში გაუუქმეს და ჭიათურაც, ტიპიურ საბჭოთა სამრეწველო ქალაქად იქცა.

გიდი (ბატონ კოტეს):

– ვხუმრობ რასაკვირველია, ბატონ კოტე, აკაკი წერეთელი როგორ უნდა გახსოვდეთ, მაგრამ ის კი გეცოდინებათ, რომ მაშინ ჩვენი დიდი პოეტისგან, დიდი კომერსანტი ვერ დადგა...

ბატონი კოტე:

– მახსოვს

გიდი (ბატონ კოტეს):

– თქვენც ზომ გახსოვთ ეგ ამბავი?

ბატონი კოტე:

– თვითონ აკაკიც მახსოვს

(ყველანი ისევ გაიღიმებენ და მათ შორის გიდიც).

გიდი:

– ნიკო ნიკოლაძე მაინც გეთქვათ ბატონო კოტე...

(მთავარი სტუმარი ხელს ართმევს ბატონ კოტეს და სხვა, დანარჩენი სტუმრებიც იგივეს აკეთებენ)

ბატონი კოტე:

– კოტე ღვალაძე...

მთავარი სტუმარი:

– დიახთ...

გიდი (ბრიგადირს):

– ჩვენ კიდევ ერთ მაღაროსაც ვნახავთ და თქვენ კი გააგრძელეთ და ხელს აღარ შეგიშლით.

(სანამ სტუმრები გადიან, მუშა-კომენტატორი ისევ მაყურებელს მიმართავს)

კომენტატორი:

– თუმცა ამერიკელი ჰარიმანი, მალე გააძევეს საქართველოდან, როგორც პირსისხლიანი კაპიტალისტი და საბჭოთა ხელისუფლებამ, მასთან დადებული ხელშეკრულება, უაპელაციოდ დაარღვია...

(ჟურნალისტი გოგო, რომელიც სტუმართა ჯგუფს ახლავს თან, სტუმრებს ჩამორჩება და მაღაროელთა ბრიგადირს, თხოვნით მიმართავს)

ჟურნალისტი (ბრიგადირს):

– ხომ შეიძლება რომ ბატონ კოტეს ინტერვიუ ჩამოვართვა?

ბრიგადირი (ჟურნალისტს):

– ეგ თვითონ ბატონ კოტეს უნდა ჰკითხოთ (ჟურნალისტი გოგო ისე იქცევა, როგორც მას ბრიგადირი ურჩევს და ბატონი კოტე და ჟურნალისტი, ინტერვიუსთვის განმარტოვდებიან. თუმცა ამ ინტერვიუს, დიალოგის ფორმა უფრო აქვს და მათი საუბრის ფრაგმენტები, რამდენჯერმე ხმამაღლა ისმის).

ჟურნალისტი (ბატონ კოტეს):

– ბატონო კოტე, პირველ რიგში, მინდა გკითხოთ იმის შესახებ, წელან რომ იხუმრეთ, აკაკი წერეთელი მახსოვსო - ალბათ იუმორი შრომაშიც ძალიან გშველით და გეხმარებათ

ბატონი კოტე:

– არ მიხუმრია ჩემო ბატონო და აკაკიც კარგად მახსოვს და ნიკო ნიკოლაძეც

ჟურნალისტი (აშკარად შეცბუნებული):

– კი მაგრამ, თუ ეს მართალია, მაშინ გამოდის რომ მინიმუმ ასი წლის ხართ...და შეიძლება მეტის (აქ ხმაში შიშიც შეეპარება).

ბატონი კოტე:

– მერე რა მოხდა, ჩემზე ასაკოვანი ხალხიც არსებობს

ჟურნალისტი:

– მაგრამ... გამოდის რომ თქვენ ვეტერანი მაღაროელი ხართ და მე კი გამიგია რომ ვინც მაღაროში დიდხანს მუშაობს, მერე დიდხანს ვეღარ ცოცხლობს...

(ამ ბოლო წინადადების ბოლო სიტყვას, ჟურნალისტი გოგო ჩუმად ამბობს და თანაც დანარჩენი მაღაროელებისკენ აპარებს თვალს იმის შიშით ვაითუ სხვებმაც გაიგონეს, მაგრამ სხვები შრომას აგრძელებენ და ინტერვიუს ტექსტი მათ არ ესმით. ჟურნალისტისა და ბატონი კოტეს დიალოგს, მხოლოდ მაყურებელი ისმენს და როგორც მკითხველიც მიხვდა, მაყურებლამდეც ეს დიალოგი, მხოლოდ ფრაგმენტულად და თანაც სხვა სცენების პარალელურად აღწევს).

კომენტატორი (მკითხველს და მაყურებელს):

– არადა ჰარიმანის დროს, ჭიათურელ მუშებს, თურმე ყველაზე კარგი პირობები ჰქონდათ და ასეთი კეთილი მზრუნველი და მეპატრონე, ჩვენ მაღაროელებს, მერე არც კი ჰყოლიათ...

(დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ თითქმის მაშინვე, როგორც კი ბაბუა კოტესა და ჟურნალისტის დიალოგი იწყება, ჟურნალისტის მიმართ ინტერესს, თითქმის დაუფარავად ამჟღავნებენ ახალგაზრდა მაღაროელები (ხვიჩა და გოჩა), რომლებიც ინტერვიუს ადგილისკენ ნელ-ნელა მიიწევენ და თანაც იმას ცდილობენ რომ გოგონამ მათ, ყურადღება მიაქციოს).

კომენტატორი (კი აგრძელებს):

– მაგრამ იმას კი ნუ იფიქრებთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება, საბჭოთა მშრომელებზე არ ზრუნავდა ან მათზე საერთოდ არ ფიქრობდა. პირიქით, მეფის რუსეთის დროინდელი პირობები, ჭიათურელი მაღაროელებისთვის, გაცილებით მძიმე იყო და ამიტომაც ჭიათურელ მუშებს, საბჭოთა ხელისუფლებისადმი მაღლიერება, არაერთხელ გამოუხატავთ. თუმცა ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ...

ბატონი კოტე:

– მერე რა რომ თითქმის ასი წლის ვარ, ამათზე ნაკლები შემიძლია? ამათზე ნაკლებს ვშრომობ? (კოტე ბაბუა ახალგაზრდა მალაროელებისკენ იშვერს ხელს და მუშაობას აგრძელებს).

ჟურნალისტი:

– ეგ არც მიფიქრია, ბატონო კოტე, მაგრამ ხომ არ აჯობებდა-მეთქი რომ თქვენ პენსიაზე გასულიყავით და თქვენი სახელოვანი გზა კი, თქვენ შვილებსა და შვილიშვილებს განეგრძოთ?

ბატონი კოტე:

– ჩემ გზას, აწი, შვილთაშვილები თუ გააგრძელებენ, თორემ შვილებისა და შვილიშვილების იმედი, მე უკვე აღარა მაქვს

ჟურნალისტი:

– შეუცვლელი არავინაა...(ეს ფრაზა დაუფიქრებლად წამოცდება და როცა ამას ხვდება, ცდილობს, რომ შეცდომა გამოასწოროს და საუბარი სხვა თემაზე გადაიტანოს) და როგორ გაიხსენებდით თქვენ პირველ ნაბიჯებს აქ, ჭიათურის მალაროებში?

კომენტატორი:

– თუმცა უნდა გვასსოვდეს, რომ საქართველოს თავისუფლებას, ყველაზე მეტი მხარდამჭერი, სწორედ ჭიათურაში ჰყავდა მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში და 1924 წელს აჯანყებულ მუშებს შორისაც, ვისაც დამოუკიდებლობის დაბრუნება და აღდგენა უნდოდა, ყველაზე ბევრნი, ჭიათურელი მალაროელები იყვნენ... (პაუზის შემდეგ, სევდიანად)
ბოლშევიკების სისხლიან რეპრესიებსაც, ყველაზე მეტი მსხვერპლი, ამიტომაც სწორედ ჭიათურაში მოჰყვა, სადაც ორი ათასამდე პატრიოტი მოკლეს...

ბატონი კოტე:

– აქ მუშაობა, ჰარიმანის ჩამოსვლამდე დავიწყე და ჭიათურა მაშინ, სულ სხვანაირი იყო. მეც სულ პატარა ვიყავი, მაგრამ რადგან ტანით დიდს ვგავდი, წლებს ვიმატებდი რომ მალაროში მუშაობაზე ჩემთვის უარი არ ეთქვათ. არადა ფული ძალიან მჭირდებოდა იმიტომ რომ მაშინ ჭიათურის თეატრში ისეთი სპექტაკლები იდგმებოდა, რომ ვერცერთს ვერ გავაცდენდი...

ჟურნალისტი:

– ასე ძალიან გიყვარდათ თეატრი?

ბატონი კოტე:

– მართო მე? ჭიათურაში მაშინ ისე უყვარდათ თეატრი, რომ ჰარიმანის შესახებ იმასაც კი ამბობდნენ, რომ მარგანეცზე მეტად, ჭიათურაში დადგმული სპექტაკლები აინტერესებსო...

ჟურნალისტი:

– ასეთი რა სპექტაკლები ჰქონდათ?

ბატონი კოტე:

– ყველაფერი, რაც მსოფლიოში იდგმებოდა მაშინ და მაგალითად “ოტელო” რომ დადგეს ჭიათურაში, ხალხი ხაშურიდანაც კი დადიოდა იმ სპექტაკლის სანახავად

კომენტატორი (მაყურებელს, ხმადაბლა):

– ხაშურს მაშინ, მიხაილოვო ერქვა

ჟურნალისტი:

– ასე შორიდან?

ბატონი კოტე:

– ცხრაასოცდახუთში, კლარა ცეტკინი, ბერლინიდან ჩამოვიდა აქ და საშურიდან ჭიათურაში ამორბენას, რაღა უნდოდა?! მონდომება თქვი თორემ, გამოყვებოდი ჯერ მასტერავოის შორაპნამდე და მერე შორაპნიდან ჩვენი მატარებლით ერთ საათში აქ იყავი...

ბახვა ბრეგვაძე:

– კი მაგრამ საშურში თავისი თეატრი არ ჰქონდათ?

კომენტატორი:

– ბატონ კოტეს ცოტა ეშლება და კლარა ცეტკინი ჭიათურას, სინამდვილეში, 1924 წელს ესტუმრა და რობი ვილიამსისა არ იყოს, ნიგვზიანი ბადრიჯანი, მასაც ძალიან მოეწონა. ხოლო რაც შეეხება საშურის თეატრს...

ჟურნალისტი გოგო (ბახვას):

– თქვენთანაც მინდა ინტერვიუ, ოღონდ ბატონ კოტესთან რომ მოვრჩები, მერე

ბახვა (ჟურნალისტს):

– სიამოვნებით, მაგრამ მე რომ მაღაროელი არ ვარ?

ჟურნალისტი (გულწრფელად გაკვირვებული):

– აბა აქ რას აკეთებთ?

ბახვა:

- ბახვა კოტესგან ვსწავლობ მაღაროელის პროფესიულ ჩვევებს, თორემ ისე მსახიობობა მინდა

ჟურნალისტი (ბატონ კოტეს):

- თქვენი შვილიშვილია?

ბატონი კოტე:

- არა გენაცვალე, ჩემ შვილიშვილებს აქ რა უნდათ

ჟურნალისტი:

- აბა სად არიან?

ბატონი კოტე:

- ალბათ თბილისში, ელიავაზე...

ჟურნალისტი:

- და შვილები?

ბატონი კოტე:

- ყველანი იქ არიან, შვილებიც და შვილიშვილებიც...

ჟურნალისტი:

- და არც გაკითხავენ?

(ბატონი კოტეს ნაცვლად, ამ შეკითხვას ქვევრიპიდე პასუხობს)

ქვევრიპიდე:

– კი, როგორ არა, ხელფასის დღე რომ აქვს, შვილებიც აკითხავენ ხოლმე და შვილიშვილებიც...

კომენტატორი:

– ხოლო რაც შეეხება ხაშურის თეატრს, რომელიც ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში, ფილოსოფოსმა გიორგი გურჯიევმა დააარსა, ის მაინც ქორეოგრაფიული თეატრი უფრო იყო, ვიდრე დრამის და ამიტომაც არ არის გასაკვირი რომ ჭიათურის დრამის თეატრს მაშინ, მაყურებელი ხაშურიდანაც კი ჰყავდა...

ჟურნალისტი (ბაბუა კოტეს):

– სხვათა შორის, ისიც მაინტერესებს, რა უნდოდათ ჭიათურაში ამერიკელებს?

ქვევრიპიდე:

– შავი ქვა, სხვა რა ენდომებოდათ?!

ჟურნალისტი (კოტეს):

– თქვენც ასე ფიქრობთ?

ბატონი კოტე:

– ქვევრიპიდეზე კომპეტენტური, აქ არავინ არ არის

ჟურნალისტი:

- ქვევრიპიდე რას ნიშნავს?

კოტე (ლიმილით):

- მაგის მეტსახელია

ჟურნალისტი:

- და რას ნიშნავს?

კოტე:

- ჰკითხე და თვითონ გეტყვის

ჟურნალისტი (ქვევრიპიდე):

- გავიგე რომ ქვევრიპიდე თქვენი მეტსახელია, მაგრამ საინტერესოა საიდან და რატომ გაჩნდა ეს მეტსახელი, ან ვინ და რატომ დაგარქვათ?

ქვევრიპიდე (ლიმილით):

- სანამ მადაროელი გავხდებოდი, ქვევრებს ვაკეთებდი ღვინისთვის, მაგრამ თან პიესებსაც ვწერდი ხოლმე მაშინ და ეს სახელიც ამიტომ დამარქვეს - ჩვენი მეზობლის ბავშვმა, სოსო ბიწაძემ დამარქვა, იმ სოსოს პატარაობიდანვე ვვრიპიდეც წაკითხული ჰქონდა, სოფოკლეს და ჰომეროსიც...

(აშკარაა რომ ჟურნალისტს არაფერს ეუბნება არცერთი სახელი)

ჟურნალისტი:

– მერე?

ქვევრიპიდე:

– მერე ის სოსო ბიწაძე კი გაიზარდა, მაგრამ ეს მეტსახელი მე მაინც დამრჩა და უკვე ისე შევეჩვიე, რომ ნამდვილ სახელს თუ დამიძახებს ვინმე, შეიძლება არც კი მივიხედო

ჟურნალისტი:

– მე სხვა რამის კითხვა მინდოდა თქვენთვის და მაინტერესებს ქვევრების კეთებას რატომ დაანებეთ თავი?

ქვევრიპიდე:

– ქვევრებს აღარავინ ყიდულობდა საბჭოთა კავშირის დროს და მეც იძულებული გავხდი პროფესია გამომეცვალა

ჟურნალისტი:

– პიესებსაც აღარ წერთ?

ქვევრიპიდე:

– მერე პიესების წერასაც აღარ ჰქონდა აზრი

ჟურნალისტი:

– არადა ახლა ისევ გაჩნდა მოთხოვნილება

ქვევრიპიდე:

– პიესებზე?

ჟურნალისტი:

– არა, ქვევრის ღვინოებზე

კომენტატორი (დარბაზს):

– სხვათა შორის, გიორგი გურჯიევი, ჭიათურაშიც იყო ნამყოფი და როგორც მერე თვითონ ამტკიცებდა, ის სწორედ ჭიათურაში ყოფნისას დაჭრეს ბრმა ტყვიით, როცა დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის, შეტაკება დაიწყო და გურჯიევი, შემთხვევით, სწორედ იმ ადგილას აღმოჩნდა...

გოჩა (ჟურნალისტს):

– და ჩემგან ინტერვიუს როდის აიღებთ?

ჟურნალისტი (გოჩას):

– და თქვენ ფიქრობთ რომ თქვენთან ინტერვიუ, ან მკითხველისთვის ან მაყურებლისთვის საინტერესო იქნება?

გოჩა:

– რასაკვირველია ძალიან საინტერესო იქნება, ოღონდ ეს ინტერვიუ კარგად უნდა შეინახოთ და მე რომ პრეზიდენტი გავხდები, თქვენ იქნებით პირველი ჟურნალისტი, ვინც ჩემგან პირველი ინტერვიუ აიღო

ჟურნალისტი (გადაიკისკისებს):

– ამ მდაროში თუ რამე ასე გამახალისებდა, ნამდვილად ვეღარ წარმოვიდგენდი

გოჩა:

– მერე სახალისოდ აღარ გექნებათ საქმე

(ჟურნალისტი უცებ სიცილს წყვეტს, მაგრამ ახლა მუშა-გოჩა იწყებს სიცილს და ჟურნალისტსაც შვებით ეღიმება).

ჟურნალისტი (ჩაახველებსავით):

– სად და როგორ დაიწყო თქვენი, როგორც მდაროელის ბიოგრაფია?

გოჩა:

– რასაკვირველია ცხრუკვეთში. მართალია ჩემ მშობლიურ სოფელში ათი აკადემიკოსი და ასობით პროფესორია დაბადებული, მაგრამ ცხრუკვეთის უნივერსიტეტიდან, მე პირდაპირ აქ აღმოვჩნდი...

ჟურნალისტი (აწყვეტინებს):

– ცხრუკვეთის უნივერსიტეტიც არსებობს?

გოჩა:

– რასაკვირველია. არ იცოდით?

ჟურნალისტი:

– მე წარმოშობით კახეთიდან ვარ და წნორში რომ უნივერსიტეტი იყო, კი მახსოვს, მაგრამ ცხრუკვეთის ამბავი ნამდვილად არ ვიცოდი...

ბრიგადირი:

– როგორ, ცხრუკვეთის უნივერსიტეტი არ ჰქონდა დამთავრებული იმ ქართველ მეცნიერსაც, მერე ლონდონში რო ჩვეიდა აქედან ოცდაერში წასული და ინგლისელებმა რომ იადონის საიდუმლო მოპარეს?

ხვიჩა:

– ჩვეიდა კი არა, ჩავიდა

კომენტატორი:

– ჩვენი ბრიგადირი ახლა, რასაკვირველია ხუმრობს, თორემ იადონების მალაროებში გამოყენების იდეა, სინამდვილეში, ბრიტანელ ფიზიოლოგს ჯონ სკოტ ჰოლდენს გაუჩნდა, რომელიც სამეცნიერო ექსპერიმენტებს საკუთარ თავზე კი ატარებდა, მაგრამ დაჟინებით ამტკიცებდა რომ მალაროებში არსებული მსუთავი აირებისადმი განსაკუთრებით მგრძობიარენი, იადონები იყვნენ...

(იადონების ხსენებაზე ხვიჩა ხატს იღებს ჯიბიდან, სანთელსაც ანთებს და მერე ორივეს იქვე უძებნის შესაფერის ადგილს და პირჯვარსაც იწერს და ლოცვასაც ამბობს და ამის შემყურე გოჩა, საჯარო დასკვნას აკეთებს)

გოჩა:

– მხოლოდ ლოცვა ვერაფერს გვიშველის. ის ხალხი რომ ისევ აქ გამოივლის, რაღაც უნდა მოვიფიქროთ. მაგალითად, შეგვიძლია ის მინისტრით სტუმარი მძევლად ავიყვანოთ და მერე ხელფასების გაზრდაც მოვითხოვოთ

კომენტატორი:

– 1913 წელს ჭიათურაში 20 წლის გალაქტიონ ტაბიძე ჩამოვიდა, რომელმაც მალე აქ ახალი ლექსი დაწერა და რადგან ლექსს “შავი ქვა” ერქვა, ბევრმა ჭიათურელმა იფიქრა კიდევ რომ აკაკი წერეთლის შემდეგ, ახალი თაობის პოეტებმაც გადაწყვიტეს ჭიათურის მარგანეცით დაინტერესება, მაგრამ დაკვირვებული ჭიათურელის თვალი მაშინვე მიხვდა, რომ გალაქტიონი აქ, არა შავი ქვის, არამედ ერთი მშვენიერი ქალის გამო ჩამოვიდა...

ხვიჩა:

– და იმ მინისტრის გამო, ჩვენ მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ და ხელფასებს გაგვიზრდიან?

ბახვა:

– თქვენ გაგიზრდიან და თავისთვის მოიკლებენ, სულ მაგ ჭკუაზე არიან. თანაც იქნებ ეგ ჰალსტულიანი, სულაც არ არის მინისტრი, ჯერ გეკითხათ ვინ არის და მერე აგეყვანათ ტყვედ.

გოჩა:

– მინისტრია თუ მინისტრის მოადგილე, მაგას ახლა ჩვენთვის, მნიშვნელობა არა აქვს და ასეთი კარგი შანსი, მერე კიდევ როდის გვექნება. ავიყვანთ ტყვედ და ხელფასების გაზრდას მოვითხოვთ, ჩვენ კაპიკებს გვიხდიან და თვითონ ჩვენი შრომის ხარჯზე მდიდრდებიან და მდიდრედებიან

კომენტატორი:

– იმ მშვენიერი ახალგაზრდა ქალის მამამ, სხვათა შორის, გალაქტიონ ტაბიძე სასიძოდ, ჯერ კიდევ ქუთაისში დაიწუნა და ამის მიზეზიც თავის საყვარელ

ასულს, იქვე განუმარტა, – აბა შენ თვითონ დაფიქრდი შვილო, პოეტმა კაცმა როგორ უნდა გარჩინოსო და როგორც ჩანს, პოეტებს, მაშინაც აღმაცერად უყურებდნენ. ამიტომაც, ოლია ოკუჯავამ, ჭიათურის სკოლაში რომ დაიწყო მუშაობა, მამამისს გაუხარდა კიდევ – ქუთაისს თუ ღროებით მაინც მოშორდება, იქნებ იმ პოეტმაც სამუდამოდ დაივიწყოსო...

ჟურნალისტი:

– მინისტრი არ არის და მინისტრის პირველი მოადგილეა, მაგრამ ამას ჩემთვისაც არა აქვს მნიშვნელობა. ღმერთო რა ექსკლუზიური რეპორტაჟი მექნება მაღაროდან, ტყვეობის პირველი დღე, მერე მეორე, მერე მესამე...

კომენტატორი:

– თუმცა შეყვარებული პოეტი და მითუმეტეს გალაქტიონ ტაბიძე, ასე ადვილად უარს ხომ არ იტყოდა სატრფოზე და იდგა ხოლმე ქართველი პოეტი ჭიათურის სკოლის წინ და მორჩილად ელოდა გაკვეთილების დამთავრებას...

ბახვა:

– ისე მართლა აქ რომ ვინმე ტყვედ აიყვანოთ და ეს შემოსასვლელი ამოქოლოთ, იმ ტყვეს აქედან ვერავინ გამოიხსნის და სხვა გზა აღარც დარჩებათ და ხელფასებსაც გაგიზრდიან და შეიძლება პრემიებიც დაგიმატონ

კომენტატორი:

– 1914 წელს კი, ჭიათურაში ვანო სარაჯიშვილი ჩამოვიდა, რომელსაც სანდრო კავსაძემ აქვე შეასწავლა ურმული და მერე მუშების თხოვნით, ყველამ ერთად იმღერა აკრძალული მარსელიოზა, მაგრამ ვანო სარაჯიშვილს, დაპატიმრება, მაინც ვერ გაუბედეს...

ხვიჩა:

– მინისტრის პირველი მოადგილეა, მეორე თუ მესამე, ჩვენთვის სულერთია და ხელისუფლებამ სხვა გზა აღარ დაგვიტოვა – ავიყვანო ტყვედ და ჩვენს სამართლიან მოთხოვნებს წავუყენებო

კომენტატორი:

– არადა ერთხელ ჭიათურაში, ვაჟა-ფშაველაც კი დააკავეს ჟანდარმებმა, რადგან რუსმა პოლიციელებმა (როგორც მერე თვითონ თქვეს), დიდი ქართველი პოეტი, უბრალოდ ვერ იცნეს. თურმე ჟანდარმებს, ვაჟა-ფშაველას სამოსი, საეჭვოდ მოეჩვენათ და როცა ასეთი გენიალური პოეტი ხარ, აბა რა მნიშვნელობა აქვს რა გაცვია?!...

გოჩა:

– სხვათა შორის, მარტო ხელისუფლებასთან არ გვაქვს პრეტენზიები და ამ კომპანიის ხელმძღვანელობამაც უნდა აგოს პასუხი ყველაფერზე, რაც აქ ხდება...

ჟურნალისტი (ბრიგადირს):

– ბოდიში და წელან რომ იადონები ახსენეთ, რას გულისხმობდით?

ბრიგადირი:

– ზუსტად იაღონებს ვგულისხმობდი და ინგლისელები იაღონებს მაღაროებში იმიტომ იყენებდნენ რომ ჰაერის დაბინძურება არ გამოპარვოდათ და მანამდე შეეცყოთ, სანამ გაზით გეიგულებოდნენ

ხვიჩა:

– გეიგულებოდნენ კი არა, გაიგულებოდნენ

კომენტატორი:

– ახლა კი ბატონი ბრიგადირი ნამდვილად არ ხუმრობს და ბრიტანეთში იაღონებს, ხსენებული მიზნით, 1986 წლამდე მართლაც იყენებდნენ, სანამ მაღაროებში ფრინველების დასაქმება აიკრძალებოდა...

(კომენტატორი წინადადების დამთავრებას ვერ ასწრებს, რადგან სტუმრები უკან ბრუნდებიან და სტუმრებს შორის განსაკუთრებული მოწიწებით კი, ისევ იმ ჰალსტულიანს ექცევიან, რომელსაც მასპინძლები გზას ყველგან ხაზგასმით უთმობენ. რასაკვირველია ახლაც ასევე იქცევიან, მაგრამ როგორც კი მას გზას დაუთმობენ (ისევ ამ მაღაროში შემოსვლისას), მოულოდნელად საშინელი გრუხუნის ხმა ისმის და სცენასა და მაღაროს, მტვრის ღრუბელი ფარავს. როცა მტვერი გაიფანტება, აღმოჩნდება, რომ მხოლოდ გაოგნებული მინისტრის მოადგილე არის ჩამონგრეული კედლის აქეთ და სხვები კი, კედლის იქით დარჩნენ და მაღაროელებიც ამ კედელს, ნელნელა მიუახლოვდებიან. ერთადერთი, ვინც დანარჩენებისგან განსხვავებით, მინისტრის მოადგილეს უახლოვდება და არა კედელს, ფარისეველი ხვიჩაა)

ხვიჩა:

– მინისტრის პირველი მოადგილე ხართ?

მთავარი სტუმარი (დამფრთხალი):

– დიახთ...

ხვია:

– თუ მეორე?

მთავარი სტუმარი:

– დიახთ...

ხვია (გაკვირვებული):

– პირველი თუ მეორე?

მთავარი სტუმარი:

– დიახთ

(სანამ ხვია სტუმარს აწვალავს, ბაბუა კოტე ჩამონგრეულ კედელს უახლოვდება და ყურს ადებს, რადგან კედლის მეორე მხრიდან აშკარად რაღაც ხმები ისმის და ყველას ერთად მიმართავს, რომ გაჩუმდნენ)

ბაბუა კოტე:

– მგონი რაღაცას გვეკითხებიან და ვისაც ჩემზე კარგი სმენა აქვს, ყურიც იმან მიაღოს.

(ახლა ბახვა მიადებს ყურს იმ ჩამონგრეულ კედელს და მეორე მხრიდან ხმები კი ისმის, მაგრამ ისიც ვერაფერს გაარჩევს და ისიც ყველას მიმართავს)

ბახვა:

– ალბათ გვეკითხებიან ცოცხლები თუ გადავრჩით

გოჩა (ხელს სტუმრისკენ გაიშვერს):

– ალბათ ამის ამბავს გვეკითხებიან, თორემ ჩვენი გადარჩენა რომ აინტერესებდეთ, მანამდეც მოგვეკითხავდნენ, თუნდაც ერთხელ...

ხვიჩა (გოჩას):

– მაინც გვინდოდა ამის მძევლად აყვანა და ღმერთმა თვითონ გამოგვიგზავნა

ჟურნალისტი გოგო (შეშინებული):

– ხომ არ უნდა აწამოთ?

გოჩა:

– მთავარია თვითონ არ გვაწამონ და ჩვენი მოთხოვნებიც მალე დააკმაყოფილონ

ქვევრიპიდე:

– ახლა მთავარია აქედან გავაღწიოთ ყველამ

ხვიჩა:

– მეც მაგის თქმა მინდოდა რომ ღმერთმა ეს კაცი ზუსტად ახლა გამოგვიგზავნა, თორემ მარტო ჩვენს გამო რომ თავს არავინ შეიწუხებდა, აგერ ბატონ კოტეც დამეთანხმება

კოტეც ბაბუა:

– ეს კაცი რომ ჩვენთან ერთად აქ აღმოჩნდა, ნამდვილად უკეთესია, იმიტომ რომ ამ მინისტრის გამო, უფრო მალე გაგვიყვანენ აქედან... თუ საერთოდ გაგვიყვანეს რასაკვირველია

ჟურნალისტი:

– ადრე თუ ყოფილა ასეთი შემთხვევა ბატონო კოტე?

ბაბუა კოტე:

– კი ყოფილა, მაგრამ მაშინ, საბჭოთა კავშირის დროს, ამაზე ლაპარაკი არ შეიძლებოდა

ბახვა:

– როგორ, მაღარო თუ ჩამონგრეოდა, ხმაც არ უნდა ამოგეღოთ?

კომენტატორი:

– საბჭოთა მთავრობამ ჩერნობილის აფეთქება დაუძალა მსოფლიოს და რომელიმე ჩამონგრეული მაღაროს შესახებ რომ ინფორმაცია არ გაეცვრცელებინათ, ამაში გასაკვირი, რა არის? არც იყო გასაკვირი და საბჭოთა ადამიანებმა არც იცოდნენ რომ მათ უფლება ჰქონდათ ნებისმიერი ინფორმაცია მიეღოთ. უფრო სწორად უნდა ჰქონოდათ, როგორც ბევრი სხვა უფლება

ბაბუა კოტე:

– სამაგიეროდ ბევრი სხვა სიკეთე გვანსოვს კომუნისტებისგან და საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას, ყოველთვის ჭიათურას და ჭიათურელებს იმიტომ აქცევდა, რომ ბოლშევიკებს მთავარი ოპონენტები, ყოველთვის აქ ჰყავდათ. მეორე მსოფლიო ომშიც გერმანელებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ყველაზე მეტად, ჭიათურელების იმედი ჰქონდათ

კომენტატორი (დარბაზს):

- ამიტომაც არ იყო შემთხვევითი, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს, პირველი ქართული დესანტი გერმანელებმა, 1942 წლის 5 სექტემბერს, სწორედ ჭიათურაში გადმოსხეს - მთავარი ანტისაბჭოთა ელემენტები აქ ეგულებოდათ (რასაკვირველია თუ მხედველობაში არ მივიღებთ გურიას და მენშევიკ გურულებს)

ჟურნალისტი (გაოცებული სახით ბაბუა კოტეს):

- ბატონო კოტე, მართლა თქვენი იმედი ჰქონდა ჰიტლერს მეორე მსოფლიო ომში?

ბაბუა კოტე:

- მეორე მსოფლიო ომი მერე დაარქვეს, თორემ მაშინ სამამულო ომი ერქვა და სტალინისა და სამშობლოს დასაცავად პირველი დღიდანვე ვებრძოდი ჰიტლერს და გერმანელ ფაშისტებს

ჟურნალისტი:

- და მერე?

ბაბუა კოტე:

- და მერე, როგორც ბევრი ქართველი, მეც ქერჩთან ჩავვარდი ტყვედ. დაჭრილი ვიყავი და საკონცენტრაციო ბანაკის ჰოსპიტალში მკურნალობდნენ. როცა გამოვჯანმრთელდი, მერე ბანაკში დამაბრუნეს და სხვებთან ერთად ვმუშაობდი, სანამ ომი არ დამთავრდა.

ჟურნალისტი (დიქტაფონმომარჯვებული):

- წარმომიდგენია რა ტაჯვა გექნებათ გამოვლილი

ბაბუა კოტე:

– ერთხელ ბორმანიც კი ჩამოვიდა ჩვენთან, ბანაკში რომ რუსი ტყვეები საკუთარი თვალთ ენახა. რომ ვუთხარით ჩვენ რუსები კი არა, ქართველები ვართო, სათითაოდ ჩამოგვიარა და კბილები შეგვიმოწმა, თითქოს კბილების მიხედვით შეიძლებოდა ეროვნების გამოცნობა. ბოლოს ყველაფერი გაირკვა – თურმე ოქროს კბილებს ეძებდა...

ჟურნალისტი:

– მერე თქვენც აღმოგაჩნდათ ოქროს კბილი?

ბაბუა კოტე:

– თურმე სწორედ ბორმანმა მოიგონა ტყვეებისთვის ოქროს კბილების დაძრობის სისტემა, რომელიც ისევ ფაშისტური გერმანიის შეიარაღებას უნდა მოხმარებოდა – გადამდნარი ოქროს ხარჯზე, ახალი ტანკების შექმნა უნდოდათ და ერთხელ ჩემი თვალითაც კი ვნახე, თუ როგორ აძრობდნენ ტყვეებს ოქროს კბილებს...

ჟურნალისტი (მართლა შეშფოთებული):

– ეგ დამპალი მხეცები!

ბაბუა კოტე:

– ერთხელ კი ბორმანი, თვითონ მომადგა პირადად მე - ჩემი ოქროს კბილების ამოსაძრობად და ამომაძრობდა კიდევც, უცებ რომ არ გამღვიძებოდა...

ჟურნალისტი:

– სიზმარში ნახეთ ბორმანი თუ მართლა თვითონ ბორმანი მოგადგათ?

ბაბუა კოტე:

– თავიდან მეც ბორმანი მეგონა და ნეტა მართლა ბორმანს დაეძრო ჩემთვის კბილები და ის არ დამენახა, რაც გაღვიძებისას აღმოვაჩინე...

ჟურნალისტი:

– და რა აღმოაჩინეთ?

ბაბუა კოტე:

– თვალი რომ გავახილე, ჩემი უფროსი ბიჭი დავინახე...

ჟურნალისტი:

– თქვენი შვილიც იქ იყო მაშინ, საკონცენტრაციო ბანაკში?

ბაბუა კოტე:

– არა შვილო, ჩემ ბიჭებს იქ რა უნდოდათ, ეგენი ომის მერე გაჩნდნენ ყველანი და ეგ ამბავი რომ მოხდა, ომიც კაი ოცი წლის დამთავრებული იყო...

ჟურნალისტი:

– კარგად ვერ გავიგე და იმიტომაც ჩაგეკითხეთ...

ბაბუა კოტე:

– ნეტა მეც არ გამეგო რა მოხდა სინამდვილეში და საკუთარი შვილი კბილს რომ პლოცკოთი ამოგაძრობს, სიკვდილის გარდა, რა უნდა ინატრო...

ჟურნალისტი:

– ალბათ ბრტყელტუჩა იგულისხმეთ...

ბაბუა კოტე:

– რა ვიცი შვილო, ბრტყელტუჩა იყო, გაზი თუ პლოცკო, კი მომკლეს კაცი და...

ჟურნალისტი:

– კი მაგრამ, თქვენ არ თქვით რომ ბრტყელტუჩა მარტო უფროსმა შვილმა მაკადრაო? თვალი რომ გავახილე, მხოლოდ უფროსი ვაჟი დავინახეო?

ბაბუა კოტე:

– კი, შვილო, პლოცკო უფროს ბიჭს ეჭირა, მაგრამ შუათანაც იქვე არ იყო? იქვე არ იდგა? ერთი მაინც ეთქვა, ეგეთი ნაშოენი ოქრო, რა ოხრად გვინდაო და აკი ოხრადაც დარჩათ ის ჩემი კბილებისგან გადამდნარი ოქრო...

ჟურნალისტი:

– დაკარგეს?

ბაბუა კოტე:

– დაკარგეს, აბა რა ქნეს – იმ ჩემი კბილების ოქროში რომ ფული აიღეს, მერე იმ ფულის ვაშლის ბიზნესში ჩადება გადაწყვიტეს და ვიტებსკში გააგზავნეს ოცი ტონა ვაშლი – ოქრო ოთარა ვერე გამდიდრდაო. მარტო ოქრო ოთარა კი არა, ნახევარი ქართლი მაშინ, ვერე გამდიდრა, მაგრამ აბა ვაშლის ბიზნესთან ამ მეტიჩარა იმერლებს რა ესაქმებოდათ?!

ჟურნალისტი:

– და ოქრო ოთარი ვინ არის?

ბაბუა კოტე:

– (ნაწყენი და გაკვირვებული სახით) რა გჭირთ ამ ქართველ ჟურნალისტებს?...

ბახვა:

– კაი შამპანურს კი დალევდა კაცი

(ბახვამ კი შეავსო უხერხული პაუზა, მაგრამ ჟურნალისტი გოგო მაინც უკმაყოფილო დარჩა კოტე ღვალადის შეკითხვით და ახლა ფარისეველ ხვიჩას მიმართავს იმის დასადგენად თუ როგორ და რატომ მოხვდა ჭიათურის მაღაროში სამუშაოდ)

ფარისეველი ხვიჩა:

– აქ როგორ მოხვდი? თქვენთან დასამალი რაღა მაქვს და ბუასილის ოპერაცია რომ ვერ გავიკეთე და საკუთარი ფული რომ დამენანა და ამერიკელებსაც ჩემი ოპერაციის დაფინანსებაზე რომ უარი ვუთხარი (მერე სანაცვლოდ რომ ჩემგან რამე არ მოეთხოვათ), ერთმა ჩემმა მეზობელმა მირჩია მაღაროში მუშაობის დაწყება (მცირე პაუზის შემდეგ) - ტრაკი სიგრილეში თუ ხშირად გექნება, აუცილებლად გიშველისო და მას მერე კი შევრჩი აქ...

ჟურნალისტი (გაოგნებული):

– და მერე მოგიხდათ?

ფარისეველი ხვიჩა:

– თურმე მეხუმრა ის ჩემი მეზობელი

ჟურნალისტი:

– ღმერთო, რა ბოროტი ხუმრობაა

ფარისეველი ხვიჩა:

- ერთმა ცნობილმა პოეტმა ზუსტად ასე დაწვევლა თავისი მტრები – ღმერთო ყველანი ბუასილით დასაჯეო, მაგრამ მე მორწმუნე ადამიანი ვარ და იმ ჩემს მეზობელს ხომ არ დავწვევლიდი და ამიტომაც მისთვის სხვა სასჯელი მოვიფიქრე

კომენტატორი:

- სინამდვილეში ეს ხუმრობა ეკუთვნის რობერტ ბერნსს, ოღონდ მაშინ პოეტმა მისი მშობლიური შოტლანდიის მტრებს არა ბუასილი, არამედ კბილის ტკივილი უსურვა...

გოჩა:

- და მე ვინ დამწვევლა რომ ამ მაღაროში აღმოვჩნდი თქვენთან ერთად და არც კი ვიცი აქედან როდის გავაღწევ და საერთოდ თუ გავაღწევ...

ბახვა:

- ან ყველანი ერთად გავაღწევთ აქედან, ან აქედან ვერცერთი ვერ გავალთ

ბრიგადირი:

- პანიკა საჭირო არ არის, აგერ ახლახანს ჩილეშიც მოხდა ასეთივე ამბავი, მაგრამ ყველანი გადარჩნენ და ყველანი ცოცხლები ამეიყვანეს. თანაც იქ ამაზე უფრო ღრმა შემთხვევა იყო

ხვიჩა:

- ამეიყვანეს კი არა, ამოიყვანეს

ბახვა:

– მე არგენტინაში ვარ ნამყოფი...შემთხვევით

ქვევრიპიდე:

– ჩილეში ორმოცი დღე იყვნენ მიწისქვეშ ჩამარხულები და იმედია ჩვენც ამდენ ხანს არ მოგვიწევს აქ ყოფნა და იმედია არც ორმოცი დაგვჭირდება და არც ქელეხი

კომენტატორი:

– სინამდვილეში, ჩილეს ერთ-ერთი მაღაროში ჩარჩენილებმა, იქ არა ორმოცი, არამედ სამოცდაცხრა დღე გაატარეს მიწისქვეშ და ეს იყო შემთხვევა ატაკამას უდაბნოში, სადაც ისინი ოქროს მოიპოვებენ

გოჩა:

– ბიძაჩემი მეუბნებოდა შენს შრომით ბიოგრაფიაში ოქროს ასოებით რომ ჩაეწერება ამ მაღაროში გატარებული თვეები, მერე ისეთ კარიერას გაგიკეთებ, სააკაძესაც კი შეშურდებოდაო. მთავარია ცოტა ხანს გაძლო მაღაროში და მერე ვინ ოხერი გაგაკავებსო...

ჟურნალისტი (გოჩას):

– მგონი აქ, ჩემთვის ყველაზე საინტერესო რესპონდენტი თქვენ ხართ და აქამდე როგორ ვერ მოგაქციეთ ყურადღება და როგორ ვერ აღმოგაჩინეთ თუნდაც ჩემი ჟურნალისტური ინტუიციის წყალობით, უბრალოდ მიკვირს

გოჩა (ჟურნალისტს):

– აწი არ დამზოგოთ

ჟურნალისტი:

– არც დაგზოგავთ და თქვენ რომ ცხრუკვეთს აქებდით წელან, შეკამათებას მოვერიდე და აღარ გითხარით და აღარ გაკადრეთ, თორემ არც ფარცხნალში

დაბადებულან ნაკლები დონის პროფესორები და აკადემიკოსები - ევგენი ხარაძე გნებავთ, რეზო თაბუკაშვილი თუ კახა ბუაჩიძე...

კომენტატორი:

– სხვათა შორის, ბატონი რეზო თაბუკაშვილი, სინამდვილეში თბილისში დაიბადა 1927 წლის 2 აგვისტოს, მაგრამ მისი წინაპრები ნამდვილად იმ უნიკალური სოფლიდან იყვნენ, რომელიც ხარაგაულის რაიონს ეკუთვნის და ფარცხნალი თავისთავად რამდენიმე პატარა სოფლისგან შედგება და ერთ-ერთი მათგანი კი, სწორედ თაბუკაშვილების ღუდუმეჭეთია

გოჩა:

– არც მე ვიკადრებ ასეთ ლამაზ ქალთან შეკამათებას და მითუმეტეს აქ, ამ მიწისქვეშა პაემანზე

ჟურნალისტი:

– მიწისქვეშა მივლინება მაინც გეთქვათ

გოჩა:

– ვგიჟდები გოგოებს რომ იუმორის გრძნობა აქვთ

ჟურნალისტი:

– იუმორის გრძნობა კი მაქვს, მაგრამ ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ზოგჯერ სულ არ მეხუმრება ხოლმე

გოჩა:

– მე არ გეხუმრებით, თქვენ ძალიან ლამაზი ხართ

ჟურნალისტი:

– აქ ალბათ, ნებისმიერი ქალი ლამაზია და რაც შეეხება სააკაძეს, წელან რომ ახსენეთ, მინდა ვითხრათ რომ მე მასზე, ცოტა ნაწყენი ვარ. აგერ ჩვენი ბაში-აჩუკი, კახელებს რომ გაუჭირდათ, იმერეთიდან კახეთში ჩავიდა კახელების დასახმარებლად და გიორგი სააკაძე რომ ერთხელ მაინც ქართლიდან იმერეთშიც გადმოსულიყო იმერლების დასახმარებლად, ვითომ რა მოხდებოდა?!

კომენტატორი:

– სხვათა შორის, ერთხელ, კახეთში სტუმრობისას, აკაკი წერეთელს კახელებმა, ხუმრობით უსაყვედურეს კიდევ – დიდი მადლობა ამ შესანიშნავი ნაწარმოებისთვის, მაგრამ ბაში აჩუკი იმერეთიდან რომ არ გადმოგეყვანათ კახეთში, ჩვენთან რა კაცი დაილიაო?

გოჩა:

– მე რატომღაც კახელი მეგონეთ, მაგრამ თუ იმერელი ხართ, მითუმეტეს მინდა რომ ყველა ოცნება ავისრულოთ, აქედან რომ გავალთ, მინდა რომ მე ვიყო თქვენთვის გიორგი სააკაძეც და ბაში-აჩუკიც

ჟურნალისტი:

– ოცნებები და გეგმები ბევრი მაქვს, მაგრამ ჯერ ერთი ოცნება უნდა ავისრულო და მერე დანარჩენებსაც ადვილად ავიხდენ

გოჩა:

– მითხარით და არ დამზოგოთ, ყველაფერს გავაკეთებ თქვენი ბედნიერებისთვის

ჟურნალისტი:

– ვინც ამ ოცნების ახდენაში დაძვინჯდება...

გოჩა (აწყვეტინებს):

- არ დამზოგოთ-მეთქი!

ჟურნალისტი:

- მინდა რომ ცხვირის ოპერაცია გავიკეთო, მაგრამ ძალიან ძვირი ჯდება

გოჩა (ცდილობს დააკვირდეს):

- მგონი თქვენს ცხვირს არაფერი ჭირს საოპერაციო!

ჟურნალისტი:

- ასე იმიტომ გგონიათ რომ ჩემი ცხვირის სიგრძე და ფორმა, დღის სინათლეზე არ გიხილავთ

ხვიჩა:

- თავის მოჭრას, ცხვირის მოჭრა ჯობიაო, მაგრამ იქნებ მაინც თავი შეგეკავებინათ

ჟურნალისტი:

- კი მაგრამ როდემდე? ამ ცხვირის გამო ბალერინობაზეც ვთქვი უარი და ჟურნალისტიკაზე ჩავაბარე... არადა ისეთი ნახტომი მქონდა, ყველანი ძალიან დიდ მომავალს მიწინასწარმეტყველებდნენ

ბაბუა კოტე:

- ბოდიში, მაგრამ ბალეტი ისე ხმამაღლა ახსენეთ, რომ უნდა ჩაგერიოთ, რადგან აქ, ჩემს გარდა, არავის ემახსოვრება და 1966 წელს, ეთერ ფალავა რომ ჩამოვიდა საფრანგეთიდან ჭიათურაში და ჩვენი თეატრის სცენაზე ვახტანგ ჭაბუკიანთან ერთად

იცეკვა, ისეთი საოცარი სანახავი იყო რომ მისი ცხვირისთვის, ყურადღება არავის მიუქცევია...

კომენტატორი:

– სხვათა შორის, ჭაბუკიანი მაშინ, საბჭოთა მთავრობამ, ძალიან მკაცრად გააფრთხილა, რომ მენშევიკი ემიგრანტების ჩამომავალთან არ უნდა ეცეკვა, მაგრამ ვახტანგ ჭაბუკიანი, ძალიან მაგარი კაცი იყო და ბოლშევიკების არ შეშინებია და ეთერ ფალავასთან ერთად, მაინც იცეკვა

ბაბუა კოტე:

– ისე ცეკვავენ, რომ ვინც მაშინ დარბაზში იჯდა, ყველა ტიროდა. ქალბატონი ეთერის ჭიათურელი ბებია, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და მე იმას ვდარდობდი, ეს ასაკოვანი ქალი, ცრემლებს არ დაეხრჩო. (მცირე პაუზის შემდეგ) ასეთი ცეკვა და ასეთი საოცრება, არც მანამდე და არც მერე, არასოდეს მინახავს...

(სცენაზე ბნელდება და ერთ-ერთი მათგანი ამბობს რომ ალბათ უკვე ღამეა, რადგან ყველას ეძინება და როცა ყველას სძინავს, სცენაზე ბალეტის რამდენიმე მოცეკვავე შემოდის (მათ შორის ბიჭიც) და ისინი ფრთხილად აღვიძებენ მძინარე და გაოგნებულ მაღაროელებს და მათ ფრხილად ეცეკვებიან. ბალერინები მამაკაც მაღაროელებთან ცეკვავენ, ხოლო ბიჭი კი, ჟურნალისტ გოგოს აღვიძებს, მას ეცეკვება და პირველი მოქმედებაც, სწორედ აქ სრულდება)...

მეორე მოქმედება

(ჩაძინებულ მაღაროელებს ნელ-ნელა ეღვიძებათ და გოჩა საათს იკითხავს ყელას გასაგონად, მაგრამ მას ჯერ ხვიჩა პასუხობს)

ხვიჩა:

- რა მნიშვნელობა აქვს შენთვის

ქვევრიპიდე:

- ჩემი საათი გაჩერდა

ბახვა:

- საათი შეიძლება გაჩერდეს, მაგრამ დრო არ ჩერდება

ჟურნალისტი (ბახვას):

- თქვენ უკვე ნამდვილ ფილოსოფოსად ჩამოყალიბდით

გოჩა:

- მიწისქვეშა ფილოსოფოსად

ჟურნალისტი (უცებ გაბრაზებული):

- მაღლობა შესწორებისთვის, დახმარებისთვის და გამხნეებისთვის და რაც მთავარია შეხსენებისთვის, რომ მიწისქვეშ აღმოვჩნდი მაღაროში და არც კი ვიცი აქედან როდის გავაღწევ

ქვევრიპიდე:

- მგონი ერთმანეთთან კინკლაობისთვის, სრულიად შეუფერებელი დრო და ადგილია

ხვიჩა:

- სხვა რა საქმე გვაქვს რო?

ბახვა:

- ამ უცხო კაცის მაინც მოგვერიდოს, სანამ აქედან გაგვიყვანენ

(ყველანი სტუმარ-მინისტრს დააკვირდებიან, რომელიც ერთადერთია ახლა აქ, ამ ჩამონგრეულ მაღაროში, ვისაც ჯერ ისევ ძინავს)

ბაბუა კოტე (საათს დახედავს):

- ახლა სულ კომუნისტებს რომ ლანძღავთ და აგინებთ ეს ახალგაზრდები, საბჭოთა კავშირის დროს, რომელ მინისტრს ჩაეძინებოდა სამსახურში?! ვინ გაბედავდა სამსახურში დაძინებას?!

ბრიგადირი:

- იქნებ მართლა არც მინისტრია და არც მინისტრის მოადგილე

გოჩა:

- აბა ვინ არის?

ხვიჩა:

- იქნებ უბრალოდ აფერისტია და ჭიათურაში საქეიფოდ იყო ჩამოსული

ქვევრიპიდე:

- აფერისტებს სხვებიც აფერისტები ჰგონიათ

ბაბუა კოტე:

- სადღა არის ჭიათურაში ის პურმარილი, აქაური სუფრის გამო ხალხი რომ სხვა რაიონებიდანაც ჩამოდიოდა

კომენტატორი:

- სხვა რესპუბლიკებიდანაც კი

ჟურნალისტი:

- იქნებ გავაღვიძოთ და ცოტა მკაცრად ვკითხოთ ვინ არის და აქ რატომ და როგორ მოხვდა სინამდვილეში

ბახვა:

- ვერ ამბობს კაცი ვინ არის და სად მუშაობს და ხომ არ ვაწამებთ?

ბრიგადირი:

- ვინ ახსენა წამება? არავითარი წამება! თვითონ თუ გამოტყდება ყველაფერში, თორემ ჩვენ ნებისმიერი ძალადობის წინააღმდეგი ვართ, ვიყავი და ვიქნები. მე, რავარც თქვენი ბრიგადირი, ძალადობის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ

ხვიჩა:

– რავარც კი არა, როგორც

გოჩა:

– ბავშვობაში ბებიაჩემი ჯერ იმას მეუბნებოდა რომ მოძალადე ბაბუაშენმა მომიტაცაო და რომ გავიზარდე, მერე მითხრა მამაჩემის სახლში ისეთი სივიწროვე იყო, რომ პირველივე მთხოვნელს, ეგრევე გავყევი და პირველი კი ბაბუაშენი შემხვდაო

ჟურნალისტი:

– ეგეთი რა სივიწროვე იყო?

ბაბუა კოტე:

– იყო შვილო სივიწროვე, როგორ არ იყო და ზოგჯერ მართლა გაჭირვება იყო, მაგრამ მაშინ ხალხი მაინც უფრო ბედნიერი ჩანდა ყველაფრის მიუხედავად და არც ერთმანეთი სძულდათ ისე, როგორც ახლა ეზიზღებათ

ხვიჩა:

– ბებიაჩემი კი პირველი ქალი იყო ჭიათურაში, ვინც გათხოვებამდე დაორსულდა - ისე ციოდა იმ წელს, რომ ჭიათურაში თურმე იმ ზამთარს, ყველა ქალი დაფეხმძიმდა

(ყველანი ჯერ ხვიჩას შეხედავენ, მერე ერთმანეთს და მერე კი კომენტატორს მიაშტერდებიან რომ მისგან ამ ინფორმაციის კომენტარიც მოისმინონ და ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა დანარჩენები კომენტატორს ეკონტაქტებიან და თანაც უსიტყვოდ, მაგრამ კომენტატორი მათთან კონტაქტში არ შედის და ისევ მაყურებელს მიმართავს)

კომენტატორი:

– ამ ინფორმაციის არც დადასტურება და არც უარყოფა, უბრალოდ არ შემიძლია

ბახვა:

– და აქედან თუ ვერ გაგვიყვანენ, ჩვენ უბრალოდ, ასე უკვალოდ და უსახელოდ გავქრებით?

კოტე ბაბუა:

– ისე უკვალოდ და უსახელოდ გავქრებით, რომ ლეილა ბიწაძის ვერცერთ წიგნშიც კი ვერ მოხვდებით

ბრიგადირი:

– დევიჯერო ვერავინ გვიშველის?

ხვიჩა:

– დევიჯერო კი არა, დავიჯერო

კომენტატორი:

– არადა ჭიათურიდან საჩხერემდე სულ ცამეტი კილომეტრია, მეტი კი არა

გოჩა:

– მორჩა, აქედან თუ გავაღწევ, მე აქ მომბრუნებელი აღარ ვარ და სხვა საქმე უნდა მოვძებნო და რაღაც სხვა უნდა მოვიფიქრო

ჟურნალისტი:

– მაინც რას აპირებთ?

გოჩა:

– ვენახს ჩავეყრი ბოლო-ბოლო და ღვინოს დავწურავ

ხვიჩა:

– შენ ისეთი ზარმაცი ხარ, ურწყავს თუ დარგავ ან იზაბელას

ბახვა (გაკვირვებული):

– ეს თუ ზარმაცია

ბაბუა კოტე:

– იზაბელას ხსენებაზე, სულ ხრეითელი იზაბელა გოცაძე მაგონდება ხოლმე, მართლა მზეთუნახავი იყო

ბახვა:

– თქვენსავით მაღაროში თუ მუშაობდა მთელი ცხოვრება, მზეთუნახავი იქნებოდა, აბა მზეს სად ნახავდა

კომენტატორი:

– ურწყავი ვაზის იმ ჯიშს ჰქვია, რომელსაც მორწყვა და მოვლა არ სჭირდება, ისედაც ხარობს და იზრდება, ხოლო ამერიკულ იზაბელას საქართველოში, უფრო ხშირად ადესას უწოდებენ, რადგან ის გემი, რომლითაც მისი ნერგები შემოიტანეს მეცხრამეტე საუკუნეში, ოდესიდან ჩამოვიდა ფოთში

(გოჩა ხვიჩას არ უპასუხებს და მასთან კამათს ერიდება)

გოჩა:

- რამე უნდა მოვიფიქროთ, რაც ცოტათი გაგვამხნეებს მაინც

ბახვა:

- ვიმღეროთ?

კომენტატორი:

- სხვათა შორის, ძველი ჭიათურის დროს, გიორგი დეკანოზიშვილი გააგზავნეს კუბაში იქაური მარგანეცის მოპოვების შესასწავლად და კუბაზე აღმოაჩინა რომ კუბელები მაღაროებში მუშაობის დროსაც კი ცეკვავდნენ და მერე ეს ამბავი რომ სანდრო კავსაძეს მოუყვა, ამანაც შრომის დროს სიმღერა ურჩია ჭიათურელებს და ჩვენ მაღაროელებს კი საპასუხოდ, გულწრფელად გაეღიმათ. არადა ჯერ კიდევ ორმოცი საუკუნის წინ, ნადში გასული ქართველების წინაპრები, ყველაზე ხშირად, სწორედ შრომის დროს მღეროდნენ...

ჟურნალისტი:

- სიმღერა არ არის ცუდი აზრი, მაგრამ სტუმარი რომ გავალვიძოთ, მაინც უხერხულია

ქვერიპიდე:

- უხერხული ის უფროა, ასეთებს მინისტრად რომ ნიშნავენ

ხვიჩა:

- აბა მოადგილეო?

გოჩა:

- რა მნიშვნელობა აქვს

კომენტატორი:

– სხვათა შორის, ორმოცი საუკუნის წინანდელი ჭიათურელების დეენემის ანალიზი, დღევანდელი ზოგადქართულისას ისე ემთხვევა, რომ არაკეთილმოსურნე პროვოკატორმა, შეიძლება იფიქროს კიდევ, რომ ქართველები იმ ძველი, ჭიათურის მიდამოებში აღმოჩენილი გამოქვაბულებიდან, დღემდე არ გამოსულან. არადა ზემოთქმული, საერთაშორისო სამეცნიერო კვლევების შედეგია და თუ ვინმეს ჩვენი მოგონილი ან უბრალოდ იმერული ხუმრობა ჰგონია, შეუძლია გადასამოწმებლად, თბილისში, სახელმწიფო მუზეუმს მიაკითხოს...

ჟურნალისტი (ბაბუა კოტეს):

– სანამ ესენი სიმღერას დაიწყებენ ან სხვა რამეს მოიფიქრებენ, მე ჩემი პროფესიული მოვალეობის შესრულებას გავაგრძელებ და იცით რა მაინტერესებს, ქალები თუ მუშაობდნენ მალაროებში?

ბაბუა კოტე:

– სამამულო ომის დროს, მერე რომ მეორე მსოფლიო ომი დაარქვეს და კაცების უმრავლესობა ფრონტზე წაიყვანეს, ის კაცები მალაროებში, რასაკვირველია ქალებმა შეცვალეს. თუმცა ქალები აქ, მანამდეც მუშაობდნენ (ზოგჯერ კაცებივით გადაცმულები) და მუშა რევოლუციონერებს შორის, ქალებიც ბევრი იყვნენ. ფაცია გალდავამ, მაგალითად, იმდენი ქნა რომ ჭიათურაში, მსოფლიოში პირველად, რვასათიანი სამუშაო დღე შემოიღეს ჯერ კიდევ 1905 წელს...

ბრიგადირი:

– მსოფლიოში პირველ ადგილზე, საჭაერო საბაგიროების რაოდენობითაც ვართ – ასეთი ქალაქი დედამიწაზე არც არსებობს.

კომენტატორი:

– არადა აკაკი წერეთელმა, აქ რომ მარგანეცის ბიზნესი დაიწყო, ნასესხები ფული ჩადო ამ საქმეში და სამი ნათხოვარი ვირით გაჰქონდა შავი ქვა ჭიათურიდან ზესტაფონამდე. მერე ზესტაფონში აკაკის ტვირთს ალექსარალიძე ხვდებოდა ხოლმე და ქუთაისამდე ეზიდებოდა წვალებით და მერე იქიდან კიდევ ფოთამდე. რაც შეეხება აკაკისა და ალექს კონკურენტ მილიონერ ივანე მუხრანსკის, მან ასი აქლემი იყიდა მარგანეცის გადასაზიდად და მართალია იმ აქლემებს ალექსარალიძე აფრთხობდა ზესტაფონი-ჭიათურის გზაზე, მაგრამ აკაკი წერეთელი მაინც ვერ გამდიდრდა მარგანეცით და მთელი ცხოვრება, მაინც ვალებში გაატარა.

ბაბუა კოტე:

– ფაცია გალდავას გარდა, კიდევ სხვა რევოლუციონერებიც მოღვაწეობდნენ აქ და შორაპანი-ჭიათურის რკინიგზა რომ გამოიყვანეს, მერე ყოველ მატარებელს მინიმუმ ერთი ავიატორი ჩამოჰყვებოდა ხოლმე და ყველას ჭიათურაში უნდოდა რევოლუციური კრების ჩატარება. რადგან მუშები მრავლად ეგულებოდათ, მენშევიკებიც აქ მართავდნენ მიტინგებს და ბოლშევიკებიც და ზოგჯერ ორივენი ერთად. ასეთ კრებებს და მიტინგებს, უამრავი ადამიანი ესწრებოდა ხოლმე და ზოგჯერ კამათი, ხელჩართულ ჩხუბშიც კი გადადიოდა. ამ სეირის საყურებლად კი ხალხი, მთელი საქართველოდან ჩამოდიოდა ჭიათურაში და განსაკუთრებით კი, მაშინ, რასაკვირველია გურულები აქტიურობდნენ...

ჟურნალისტი:

– გურულები რატომ?

ბაბუა კოტე:

– იმიტომ რომ გურიაში ყველა გლეხი, აზნაური და თავადიც კი, ისედაც რევოლუციონერი იყო და ვისაც რევოლუციაში მუშების ჩათრევაც უნდოდა, ჭიათურაში უნდა ჩამოსულიყო. თბილისისა და ბათუმის მუშები, ეთნიურად ჭრელი ხალხი იყო და ქართული მუშათა კლასი კი, ჭიათურაში ყალიბდებოდა...

კომენტატორი:

– კი, ნამდვილად ასე იყო და ნამდვილად აქ ჩამოდიოდნენ ყველანი და კამათებიც აქ იყო და ერთხელ სტალინმა და ნოე რამიშვილმა ისე იჩხუბეს აქ, რომ მერე, 1917 წელს, პეტროგრადში რომ ცნობილი ყრილობა ჰქონდათ რევოლუციონერებს, იქაც ჭიათურა გაიხსენა სტალინმა და ლენინსაც ამიტომ შეეკამათა.

ბაბუა კოტე:

– სტალინსაც ამიტომ მოუწევდა აქეთ გული და ჭიათურაშიც ის უფრო ხშირად ჩამოდიოდა ხოლმე, ვიდრე გორში და მეც სტალინი პირველად, აქ, ჭიათურაში ვნახე...

ფარისეველი ხვიჩა (აწყვეტინებს):

– იქნებ ახლა სტალინზე არ გვესაუბრა

ბაბუა კოტე:

– ახლა აღარ მოგწონთ სტალინი?

კომენტატორი:

– ბატონ კოტეს თუ არ დასცალდა, მე მოგახსენებთ, რომ იმ წელს, იმ ისტორიული ყრილობის თავჯდომარე კარლო ჩხეიძე იყო და სიტყვით კი ირაკლი წერეთელი გამოდიოდა, რომელსაც კაკის ეძახდნენ და რომელიც გიორგი წერეთლის ვაჟი გახლდათ და ნიკო ნიკოლაძის დისშვილი. ჰოდა კაკი წერეთელმა თავისი სიტყვა მაშინ, ასე დაასრულა, – არ არსებობს ახლა რუსეთის იმპერიაში ისეთი პარტია, ძალაუფლებას ხელში რომ აიღებსო და სწორედ იმ დროს იყვინა ლენინმა, - *есть такая партия!* კი არის ასეთი პარტია და სწორედ ჩვენ ვართ ასეთი პარტიაო. გვერდით, თურმე ლენინს სტალინი ეჯდა იმ დარბაზში და მერე იმას მიუბრუნდა უცებ და ახლა სტალინს უთხრა, - და ისეთი ქალაქიც არ არსებობს, სადაც ჩვენ, ბოლშევიკები ვერ გავიმარჯვებთო და სწორედ მაშინ უთხრა სტალინმა ლენინს, - *есть такой город!* - ღიახ, არსებობს, არის ასეთი ქალაქი და იმ ქალაქს ჭიათურა ჰქვიაო...

ბაბუა კოტე:

– ახლა აღარ გინდათ სტალინი, თორემ სტალინი მაშინაც მართალი იყო და 1921 წელს, ბოლშევიკებმა რუსის ჯარი რომ შემოიყვანეს საქართველოში და ყველგან დაამარცხეს მანამდე არჩევნებში ყველგან გამარჯვებული მენშევიკები, ჭიათურას მაინც ვერაფერი მოუხერხეს. ამიტომ იყო რომ 1924 წლის აჯანყების დროს ყველაზე მეტი ადამიანი ჭიათურაში დახვრიტეს და საქართველოს დამოუკიდებლობასაც მაშინ, პროცენტულად ყველაზე მეტნი, სწორედ ჭიათურელები შეეწირნენ...

(ისეთი სიჩუმე დგება, როგორც ქართულ სუფრაზე, წასულების სადღეგრძელოს უსწრებს ხოლმე წინ და მერე ამ უხერხულ სიჩუმეს, ჟურნალისტი ღიმილით დაარღვევს)

ჟურნალისტი (ბატონ კოტეს):

– მე გურული ვარ და გურულების ამბებიც ამიტომ უფრო მაინტერესებს და გურულებზე რაც თქვენს, ისიც მართალია?

გოჩა:

– აბა იმერელი ვარო?

ჟურნალისტი:

– დედით ვარ იმერელი, მამით კახელი და ისე გურული ვარ...

ბაბუა კოტე:

– გურულები მაშინ, ისეთი ხმაურიანი ხალხი იყო, რომ მაგათი ხმა ჭიათურამდე, თვითონ აქ რომ სულ არ ჩამოსულიყვნენ, მაინც მოაღწევდა. ერთხელ, მგონი 1895 წელი იქნებოდა, გურულების სასულე ორკესტრი მოგვადგა აქ გასტროლებზე და კონცერტი რომ დაიწყო, ჭიათურელები ეგრევე მიხვდნენ რომ სტუმრები სულ სხვა საქმეზე იყვნენ ჩამობრძანებული და მართლაც, მალე ინსტრუმენტები გადადეს და რუსეთის იმპერიის ისეთი ლანძღვა დაიწყო რომ ნიკოლოზის მაგივრად, ჩვენ შეგვრცხვა...

ჟურნალისტი:

– კი მაგრამ ჭიათურაში თქვენი ორკესტრი არ გყავდათ, მუსიკოსები გურიიდან რომ არ ჩამოსულიყვნენ?

ბაბუა კოტე:

– როგორ გეკადრებათ ჩემო ბატონო, ორკესტრიც გყავდა ჭიათურაში და საუკეთესო მომღერლებიც არასოდეს გვაკლდნენ, ჯერ მარტო დები ჩაფიჩაძეების ხმები რად ღირს...

კომენტატორი (აუდიტორიას):

– ბოდიშს გიხდით, მაგრამ აქ ბატონი კოტე არ აზუსტებს, თორემ ჭიათურელი დები ჩაფიჩაძეები, მართლაც საუკეთესო მომღერლები იყვნენ, მაგრამ იყვნენ მოგვიანებით და არა მეცხრამეტე საუკუნეში...

ბაბუა კოტე (აგრძელებს):

– და მარსელ კაპანაძე? იცი რას მღეროდა შვილო? რა დემის რუსო და რა რა ცხონებული ჯო დასენი! ახლოს ვერ მოვიდოდა ვერცერთი

ბახვა:

– და ისიც მართალია რომ ჭიათურა ადრე მტრელებით სავსე ქალაქი იყო?

ბაბუა კოტე:

– მტრელები აქ რამ გაგახსენა შვილო?

ქვევრიპიდე:

– მართლა რა დროს მტრელები იყო?

ბახვა:

– ბებიაჩემი გამახსენდა უცებ და მერე ისიც გამახსენდა რომ მირზა გელოვანი თავის ლექსებს მტრელების ხელით უგზავნიდა

ბრიგადირი:

– ალბათ მტრელების ფეხებს გულისხმობდი

ხვიჩა (ბახვას):

– ბებიაშენს ლექსებს უგზავნიდა?

ბახვა:

– კი, ბებიაჩემი უყვარდა

ჟურნალისტი:

– ვაიძე რა კარგი ინტერვიუ გამოგვივა და ხომ ჩამეწერებით ბებიათქვენთან დაკავშირებით?

ბახვა:

– რას ვიზამ?

ჟურნალისტი:

– ხომ ჩამეწერებით? ასე ვამბობთ ხოლმე ჟურნალისტები

ბახვა:

– სიამოვნებით, მაგრამ ამისთვის, მგონი განმარტოება დაგვჭირდება

(ბახვა და ჟურნალისტი გოგო განმარტოვდებიან, მაგრამ სანამ მირზა გელოვანისა და ბებიაძის ამბავს მოყვება, ბახვა გაუბედავად ეტყვის ჟურნალისტს რომ მის საუბარს მოკრა ყური გოჩასთან და ბახვასაც აქვს ქირურგიული ოცნება)

ჟურნალისტი:

– თქვენც ცხვირის ოპერაციაზე ოცნებობთ?

ბახვა:

– არა, მე ყურების დაპატარავება მინდა

ჟურნალისტი:

– სულ არ გაქვთ დიდი ყურები

ბახვა:

– ამ სიბნელეში არ მეტყობა, თორემ სინამდვილეში დიდი მაქვს და იმ ფილმში, მაღაროელის როლზე თუ არ დამამტკიცეს, აქ ნაშოვნით ფულით ოპერაციას გავიკეთებ და

თქვენი არ იყოს, მეც ამოვისუნთქებ. ამიტომაც, ამათვან განსხვავებით, მე თქვენი ძალიან კარგად მესმის...

(ამ ბოლო წინადადებას ბახვა, კიდევ უფრო ჩუმად ამბობს და ჟურნალისტი გოგოსკენაც ცოტას მიჩოჩდება, მაგრამ მოულოდნელად სიჩუმეს, ტელეფონის ზარის ხმა არღვევს და ყველანი იმ მინისტრისა თუ მოადგილესაკენ მიბრუნდებიან, რომელიც თვითონაც გაკვირვებულია რომ მისი ტელეფონი ჩაირთო. სტუმარი ჩინოვნიკი ჯერ შეშინებული მიმოიხედავს და მერე სატელეფონო ზარს უპასუხებს)

სტუმარი:

– დიახთ

(დანარჩენები ერთმანეთს გადახედავენ და შეუთანხმებლად დაიძრებიან ჩინოვნიკისკენ, მაგრამ სტუმარი მხოლოდ ერთ სიტყვას ამბობს და ამ ერთიდაიგივე სიტყვას რამდენჯერმე იმეორებს)

სტუმარი:

– დიახთ

(მალაროელებიც რამდენჯერმე გადახედავენ ერთმანეთს და ბოლოს ხვიჩა ველარ მოითმენს და პირდაპირ მიმართავს სტუმარ-ჩინოვნიკს)

ხვიჩა:

– რაო?

სტუმარი:

– დიახთ

ხვიჩა (ნერვიულად):

– დიახ მალე გაგიყვანთო?

სტუმარი:

– დიანთ

ბრიგადირი:

– თუ დიანს მალე ვერ გაგიყვანთო?

სტუმარი:

– დიანთ

ქვევრიპიდე (გაბრაზებული):

– კიო თუ ვერაო?

სტუმარი:

– დიანთ

(გონა აღარ დაელოდება სტუმრის ნებართვას და მას ტელეფონს გამოსტაცებს ხელიდან და ალოსაც ხმამაღლა და ომახიანად ამბობს, მაგრამ ტელეფონი ისევ აღარ იჭერს და გონაც იმ მობილურს პატრონს უბრუნებს)

გონა:

– ისევ აღარ იჭერს, უკვე გაითიშა

ბაბუა კოტე:

– იქნებ სხვისმა ტელეფონმაც დაიჭიროს? იქნებ სხვისი ტელეფონიც ჩაირთოს, დააკვირდით და ყურადღებით იყავით

(ყველანი მობილურებით ხელში სცენაზე მიდი-მოდიან და ყურადღებით აკვირდებიან ტელეფონების ეკრანებს რომ იქნებ რომელიმე მათგანი შემთხვევით მაინც ჩაირთოს)

ხვიჩა:

– აქ არასდროს ჩართულა არცერთი ტელეფონი და რაღა ამ ჩემისამ მოახერხა დარეკვა?

ბახვა:

– ამას არ დაურეკავს, პირიქით, ამას დაურეკა ვიღაცამ

ჟურნალისტი:

– რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია რომ ამის ტელეფონი ჩაირთო და ამან კი ვერაფერი თქვა

ბრიგადირი:

– ვისთვის რა უნდა ეთქვა?

ქვევრიპიდე:

– ვინც ურეკავდა, იმისთვის ეთქვა რომ მძიმე მდგომარეობაში ვართ და ჟანგბადის, საკვებისა და წყლის გარეშე, დიდხანს ვერ გავძლებთ და რაზე უნდა იღონოს ხელისუფლებამ

გოჩა:

– კი არ უნდა ეთქვა, უნდა მოეთხოვა

ხვიჩა:

– იქნებ ეს, მართლა არც მინისტრია და არც მინისტრის მოადგილე

ბაბუა კოტე (გულწრფელად გაკვირვებული):

– აბა ვინ არის?

ბახვა:

– იქნებ უბრალოდ ტურისტია?

ჟურნალისტი:

– ტურისტებს აქ რა უნდათ?

კომენტატორი:

– ჩვენი ჟურნალისტი სამწუხაროდ ცდება და ჭიათურა, სწორედ რომ ტურისტებისთვის არის ძალიან მიმზიდველი ადგილი ძალიან ბევრი მიზეზის გამო და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კანონები სხვაგანაც არსებობენ, მაგრამ კანონში გაშენებული ქალაქი, მხოლოდ ჭიათურაში ნახავთ

ბრიგადირი:

– იქნებ შემოგზავნილი აგენტია?

ხვიჩა:

– ამერიკელების?

გოჩა:

– ამერიკელებს აგენტების შემოგზავნა არაფერში სჭირდებათ, ისედაც ჩავბარდებით

ბაბუა კოტე:

– ამერიკელებმა ასი წლის წინ გამოგვიგზავნეს ის მილიონერი ჰარიმანი და ახლა რატომ დაეზარებოდათ?

კომენტატორი:

– სხვათა შორის, ამერიკელებამდე ჭიათურაში, სხვები ჩამოვიდნენ: იტალიელები, გერმანელები და ბელგიელები. ბელგიელები იყვნენ, მაგალითად, ძმები მიულისები, რომლებმაც მერე ჭიათურელებთან ერთად ისე იბრძოლეს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის, რომ ერთი დიდგულა დარკვეთელი ქალი, ერთ-ერთ ბელგიელ ძმას, ცოლადაც კი გაჰყვა. თუმცა ბელგიელებთან ვალში, ყველაზე მეტად, არა ჭიათურელები, არამედ თბილისელები უნდა იყვნენ, რადგან თბილისში ტრამვაი მათი შემოყვანილია და ფუნქციონირიც მათი აშენებულია

ჟურნალისტი:

– ჭიათურა-საჩხერის ტროლეიბუსიც ბელგიელების დამსახურება იყო?

კომენტატორი:

– არა გენაცვალე, მაშინ აქ ბელგიელებს ვინ შემოუშვებდა, ეგ უკვე საბჭოთა პერიოდში მოხდა, სამოციან წლებში და აბა არის მსოფლიოში ორი ქალაქი, ერთმანეთთან ტროლეიბუსის ხაზი რომ აკავშირებდეს? ორ ქალაქს შორის რომ ტრამვაი დადიოდეს, კი ბატონო, არსებობს, მაგალითად ბრნოსა და მოდრჟიცეს შორის, მაგრამ ტროლეიბუსი მხოლოდ აქ, ჭიათურასა და საჩხერეს შორის დადიოდა

ჟურნალისტი:

– და მერე იმ ჰარიმანს რა ბედი ეწია?

კომენტატორი:

– ჰარიმანმა ისე დიდხანს იცოცხლა, რომ გასული საუკუნის სამოციან წლებში, თავისი შვილის მოგზაურობასაც მოესწრო ხრუმოვის დროინდელ საბჭოთა კავშირში. მისი ვაჟიშვილი მაშინ, ამერიკელ ტურისტებს ჩამოჰყვა აქ და მამამისმა კი წამოსვლის წინ, ერთი უცნაური რჩევაც მისცა - მოსკოვიდან თბილისში რომ ჩახვალ, მერე იქიდან ჭიათურაში მოხვედრაც მოითხოვე და ჭიათურას თუ ნახავ, სახლების სახელურებს დააკვირდიო. იქო, ჭიათურაშიო, რაც მე სიმდიდრე

მახსოვს, იმ მარგანეცის მოპოვებით, ხალხი უკვე ისეთი გამდიდრებული უნდა იყოს, რომ ნებისმიერის სახლის კარს, ალბათ ოქროს სახელური აქვსო...

ბაბუა კოტე:

– იქნებ ჩემი რადიო ჩაირთოს

(ბაბუა კოტეს ახლა ახსენდება თავისი რადიომიმღები და ყველანი იმედით სავსე სახეებით წამებში გროვდებიან მის გარშემო და ბაბუა კოტეც მრავალმნიშვნელოვნად და ფრთხილად რთავს რადიოს და იქიდან მოსმენილი ხმა ისე ახარებს ყველას, რომ ყიჟინისაგან მხოლოდ სტუმარი-მინისტრი ფრთხება. მერე ერთმანეთს თვითონვე ამშვიდებენ რომ რადიომიმღებიდან ინფორმაცია მიიღონ)

ხმა რადიოდან:

– სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით, ისევ ვერ ხერხდება ჭიათურის ერთ-ერთ მაღაროში ჩარჩენილი ადამიანების სამშვიდობოს გამოყვანა და მათ შორის კი იმყოფება ხელისუფლების ერთ-ერთი მაღალჩინოსანიც. ჩვენს რადიომსმენელებს კი შევახსენებთ, რომ მაღაროს შესასვლელი რამდენიმე დღის წინ ჩამოინგრა, თუმცა სამაშველო ოპერაცია, რამდენიმე მიზეზის გამო, დროებით შეჩერებულია და გაურკვეველი ვადით არის გადადებული...

ბრიგადირი:

– რა მიზეზების გამო?! როგორ შეიძლება რამე მიზეზი არსებობდეს, როცა ადამიანების გადარჩენაზეა ლაპარაკი და როგორ შეიძლება ადამიანების გადარჩენა გადაიდოს?!

ხვიჩა:

– გადაიდოს კი არა, გადაიდოს

გოჩა:

– ასეთი რთულია ამ ნანგრევების გატანა?

ბახვა:

– იქნებ ტექნიკა ვერ შემოჰყავთ?!

ხვიჩა:

– ხელებით რომ იმუშაონ?

ბაბუა კოტე:

– ალბათ ტექნიკის გარეშე ვერ ხერხდება, თორემ, ხელით გაწმენდა რომ შესაძლებელი ყოფილიყო, აქედან ხომ ისედაც გაგვიყვანდნენ?

ჟურნალისტი:

– იქნებ ოპოზიციის წარმომადგენლები განზრახ არ უშვებენ მაშველებს ჩვენამდე რომ ხელისუფლების დისკრედიტაცია ბოლომდე მოხდეს?

ქვევრიპიდე:

– ჩვენ თუ ფეხებზე ვკიდივართ, ამის გადარჩენაზე ხომ მაინც უნდა იზრუნონ?!

(ქვევრიპიდე სტუმრისკენ ხელს გაიშვერს და სხვებიც საეჭვო მინისტრისკენ გაიხედავენ, რომელიც ცოტა ხნის წინ კედლის გამოთხრას ცდილობდა, ახლა კი ჭურით ხელში ზის და გაკვირვებული უყურებს დანარჩენებს).

ბრიგადირი:

– აქ იპოვე?

სტუმარი:

– ღიახთ

გოჩა:

– ცარიელა?

სტუმარი:

– ღიახთ

ხვიჩა:

– შიგნით ღვინო ასხია?

სტუმარი:

– ღიახთ?

ბახვა:

– ღვინო თუ გვაქვს, იმედია ბატონი კოტე თამალობაზე უარს არ გვეტყვის

ჟურნალისტი (ბახვას):

– შენ ხომ შამპანური გირჩევნია?

ბახვა:

– აქედან რომ გავალოთ, საუკეთესო შამპანურზე დაგპატიუებთ

(ამასობაში ღვინოს ყველანი მიირთმევენ და სახეზეც უმრავლესობას უკვე მხიარულება ეტყობა, თუმცა როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე საქართველოში (როცა ღვინოს მიირთმევენ), ახლაც, ამ მაღაროშიც ამბობენ წასულების, ანუ უდროოდ გარდაცვლილების სადღეგრძელოს და ფეხზეც დგებიან. სადღეგრძელოში, რასაკვირველია ახსენებენ იმ მაღაროელებსაც, ვინც შეეწირა ამ პროფესიას და იმ ქვეყანაში, სადაც კაცების დიდი ნაწილი უსაქმურია და ცოლების ხარჯზე ცხოვრობს, საქართველოში მაინც არსებობენ ნამდვილი კაცებიც (თუნდაც ამ მაღაროელების სახით), რომლებიც გმირულად შრომობენ და ცხოვრებას არასოდეს ნებდებიან. ამ სადღეგრძელოს გამო, სცენა რასაკვირველია სევდიანი ხდება, მაგრამ მაყურებელმაც უნდა იცოდეს რომ არც მაღაროელების ცხოვრება შედგება მხოლოდ მხიარული ამბებისგან)

ქვევრიპიდე (სიჩუმეს არღვევს):

– ერთიც რომ დავლიო, ამ ღვინის ასაკსაც გამოვიცნობ

ბატონი კოტე:

– ასეთი რამ, მხოლოდ ღვინის სამშობლოში შეიძლება მოხდეს

ბრიგადირი:

– ახლა რომ მამუკა ფხალაძის ხელით ამოლესილი ლობიო მომცა მჟავესთან და ჭადთან ერთად...

ფარისეველი ხვიჩა:

– სალა ნახავ ჭიათურაში მამუკა ფხალაძეს, გადევიდა მაგიც თბილისში

ხვიჩა:

– გადევიდა კი არა, გადავიდა

გოჩა:

- ისე ამ რადიოს, კარგი მუსიკის მოძებნაც შეიძლება უკვე

ბახვა:

- ერთი კარგი სიმღერა მართლა დაგვხატავდა. არადა რამდენს ვიცნობ პირადად ჩვენი შოუბიზნესიდან

ჟურნალისტი:

- რადიოს ელემენტებს უნდა გავუფრთხილდეთ, ყველა სადღეგრძელოზე თუ ჩავრთეთ, მერე საინფორმაციოსთვის აღარ გვეყოფა და ვერაფერს გავიგებთ

ქვევრიპიდე:

- რისი გაგება გინდათ თქვენ კონკრეტულად?

ჟურნალისტი:

- როგორ თუ რისი, მაგალითად მაშველებს როდის გამოგვიგზავნიან

ქვევრიპიდე:

- მაშველებმა აქმდე თუ მოაღწიეს, ისედაც გავიგებთ

ბახვა:

- მთავარია მაშველების მოსვლამდე ჟანგბადი გვეყოს

გოჩა:

- მთავარია ღვინო გვეყოს

ბრიგადირი:

- ღვინოს კიდევ ვიპოვით, სხვა ჭურცი იქნება აქანა სადმე

ხვიჩა:

- აქანა კი არა, აქ

ჟურნალისტი:

- ზეზვას და მზიას მარანში მგონია თავი

ქვევრიპიდე:

- ზეზვა და მზია დმანისელები იყვნენ

ბახვა:

- კი ბატონო, დმანისელები იყვნენ, მაგრამ მარნები ჭიათურაშიც ჰქონდათ – ჩვენებური ღვინო მაშინაც მოეწონებოდათ და ადრე თურმე მარნებად გამოქვაბულებსაც იყენებდნენ, როცა იქ მტრებს ვემალებოდით

კომენტატორი:

- სანამ ესენი ლაზღანდარობენ, ხუმრობენ და კარგ ხასიათზე არიან, იმასაც მოგახსენებთ რომ ჭიათურას, ცოტა ხანს, შავი ქვაც ერქვა და ერთგან, პირდაპირ ასე მოიხსენიებს კიდევ ჭიათურას დავით კლდიაშვილი. ისე კი გამოდის რომ სულ მწერლები და პოეტები ეტანებოდნენ ჭიათურას, მაგრამ რა ვქნათ თუ მართლაც ასე იყო და კარგი რომ იყო ჭიათურა და აქაური ხალხი, რა გასაკვირია რომ დანარჩენი საქართველოდანაც საუკეთესოებს იზიდავდა. თუმცა ერთხელ, ძალიან ცუდი კაციც მოგვადგა შორიდან აქ და მურვან ყრუს დროს, იმ ცნობილ გამოქვაბულებში ვიმალებოდით, ახლაც რომ მშვენივრად გამოიყურებიან. მართალია მაშინ, ქალაქი ჭიათურა ჯერ არ არსებობდა, მაგრამ მღვიმე და გამოქვაბული, მაშინაც ბევრი გვქონდა საბედნიეროდ და მურვან ყრუს კი, საუბედუროდ, სმენის პრობლემები აწუხებდა...

ჟურნალისტი:

– სხვათა შორის, ესეც მინდოდა მეკითხა და რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, იმ მღვიმეების ძირითადი ნაწილი, ადამიანის ხელით არის გამოკვეთილი და იმ დროში იმ სიმაღლეზე ასვლა და იქ გამოქვაბულის გამოჭრა, ყოველთვის რთული იქნებოდა. მაშინ კი არა, აგერ ახლახანს, მეოცე საუკუნეშიც, მხოლოდ გამოცდილმა მთამსვლელებმა შეძლეს იქამდე ასვლა და იქ შეღწევა

ბრიგადირი:

– კი ბატონო, სწორად უთქვამთ და მაშინ, იმ ცნობილ ექსპედიციას ცნობილი და სახელოვანი მთასვლელი გიორგი ნიკოლაძე ხელმძღვანელობდა, მაგრამ რომ არა ხრეითელი ჯაფარიძეები, ნიკოლაძე მარტო ევიდოდა იმ ფრიალო კლდეებზე?

ხვიჩა:

– ევიდოდა კი არა, ავიდოდა!

ბრიგადირი:

– შენ უნდა მამკლა?

ხვიჩა:

– მამკლა კი არა, მომკლა!

კომენტატორი:

– სანამ ჩვენი ბრიგადირი ზემოიპერული დიალექტის ზოგიერთ გამოვლინებას ასე მეღვრად იცავს, იმასაც მოგახსენებთ რომ ჭიათურელებს აქ, კიდევ უფრო შორიდან გამოგზავნილი ადამიანიც ახსოვთ და საბჭოთა კავშირის დროს, პეკინის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასპირანტი, ვინმე ვან ში ხუა მოგვადგა ჩინეთის მთავრობის სტიპენდიით, რომელსაც ჭიათურის ბაგირგზები შეასწავლეს გიორგი ფანცულაიამ და იაკინთე მოდებამ და ახლა რომ ჩინეთში ეკონომიკური ბუმი, იმ ვან ში ხუას დამსახურებაა...

(სანამ პიესის კომენტატორი ჩინელი ასპირანტის ამბავს უყვება აუდიტორიას და სანამ ბრიგადირი და ფარისეველი ხვიჩა ერთმანეთს უპირისპირდებიან, აშკარად ამ დაპირისპირების აღკვეთის მიზნით, ქვევრიპიდე ბატონ კოტეს ხმამაღლა, სხვების გასაგონადაც მიმართავს)

ქვევრიპიდე:

– ბატონ კოტეს ხომ არ ვთხოვთ ერთი სადღეგრძელო?

ბაბუა კოტე:

– აკაკი წერეთელი ამბობდა, ანიტა იუტკევიჩმა სიბერე გამიხალისა და სიბერე შემიმსუბუქაო და ამ ჭიქით, მისი სადღეგრძელო არ უნდა დავლიოთ? აკაკის უკანასკნელი სიყვარული, ამ ღვინით, არ უნდა ვადღეგრძელოთ? მეც რომ შემხვდებოდეს ვინმე ასეთი, ამ სიბერეში, ამ გვიანი შემოდგომის მეც ხომ აღარ შემეშინდებოდა?!

ჟურნალისტი:

– ანიტა იუტკევიჩი სადაური იყო?

ბახვა:

– ეგენი იმერელი იუტკევიჩები იყვნენ

კომენტატორი:

– სხვათა შორის, ერთხელ ანიტა იუტკევიჩს მატარებელზე დააგვიანდა, მაგრამ საჩხერიდან ფეხით წამოვიდა რომ ჭიათურაში სპექტაკლისთვის ჩამოესწრო და რა გასაკვირია რომ აკაკი წერეთელს ასეთი ქალი შეყვარებოდა. თუმცა იმ დღეს სპექტაკლი ჩაიშალა, რადგან ანიტას ჭიათურის თეატრის მთელი დასი დაპატიმრებული დახვდა ივანე გომართელის აკრძალული პიესის დადგმის გამო. ანიტა იუტკევიჩი ცოტნე დადიანივით კი ჩაბარდა მაშინდელ ჟანდარმერიას, მაგრამ მონღოლებისაგან განსხვავებით, რუსებზე ამან, საერთოდ არ იმოქმედა. ამიტომაც, ალბათ კარგა ხანს არც გამოუშვებდნენ იმ ჭიათურელ მსახიობებს, მერე შალვა დადიანს რომ მეგრულ ბოქაულთან საქმე არ ჩაეწყო. არადა ჭიათურაში ადრე ისე უყვარდათ თეატრი რომ ქალები პრემიერებისთვის, სპეციალურად იკერავდნენ ახალ კაბებს...

ჟურნალისტი (ბაბუა კოტეს):

– თქვენც ანიტა იუტკევიჩი გიყვარდათ?

ბაბუა კოტე:

– ფაცია გალდავას მერე? მერე ერთი აქაური ბერძენი გოგო შემეყვარდა

ჟურნალისტი:

– ჭიათურელი ბერძნებიც თუ არსებობდნენ, ნამდვილად არ ვიცოდი

ბაბუა კოტე:

– იმ გოგოს წინაპარი არგონავტებს ჩამოჰყვა აქ და მერე უკან აღარ გაყვა იასონს, მაგრამ არც ქუთაისში დაედგომებოდა მაშინ და სადღაც აქ დასახლდა...

(ბატონ კოტეს კიდევ რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ ამ დროს ვიღაც რადიოს რთავს და იქიდან ხმამაღლა ისმის საინფორმაციოს წამყვანის ხმა)

რადიოდიქტორი:

– ჭიათურაში ჩამონგრეული მაღაროს შესასვლელთან, იმ მაღაროელების ოჯახის წევრები, ნათესავები და ახლობლები იკრიბებიან, რომელთა გამოყვანაც ნანგრევებიდან ჯერჯერობით ვერ ხერხდება, თუმცა ცნობილია რომ მაღაროში ჩარჩენილი ადამიანები საბედნიეროდ ცოცხლები არიან და ისინი ხელისუფლების გადაწყვეტილებას ელიან...

(უცებ რადიო ითიშება)

ბაბუა კოტე:

– ოჯახის წევრები იკრიბებიანო და ჩემი შვილები და შვილიშვილები ისედაც მოვიდოდნენ, დღეს ხომ ხელფასების დღეა

გოჩა:

– ხომ ვამბობდი ელემენტები დავზოგოთ-მეთქი!

(გოჩა რადიომიმღებიდან ელემენტებს იღებს და დეჭავს – ასე ცდილობს მათთვის ფუნქციის დაბრუნებას და ზოგიერთები გაკვირვებულები კი უყურებენ მას, მაგრამ გოჩა ამ უცნაურ დეჭვას მონდომებით აგრძელებს).

ხვიჩა:

– და რა უნდა გადაწყვიტოს ხელისუფლებამ?! აქ ჩაგვტოვონ და ამოგვწყვიტონ თუ გაგვიყვანონ და გადაგვარჩინონ? ამაზე ფიქრობენ ამდენ ხანს?

ბახვა:

– იმდენ ხანს იფიქრებენ, რომ ბოლოს გია ჯაჯანიძეც ვეღარ მოგვაგნებს

ბრიგადირი:

– იქნებ ისეთი ტექნიკა საერთოდ არ ჰყავთ, ამის გაწმენდას რომ ჭირდება და ახლა სხვა ქვეყანაში ეძებენ იმ სპეც ტექნიკას

გოჩა:

– და ვინ ვართ ჩვენ მათთვის რომ ჩვენს გამო შეწუხდნენ და სხვა ქვეყნიდან ხალხი ჩამოიყვანონ ჩვენს გადასარჩენად?!

ბახვა:

– როგორ თუ ვინ ვართ, მსოფლიოში პირველი ქალაქი ვართ საჰაერო საბაგიროების რაოდენობით

ხვიჩა:

– როგორ თუ ვინ ვართ - მსოფლიოში ერთადერთი ქალაქი ვართ, სადაც დღესაც არსებობს ის სახლი, რომლის აივანზეც ჯერ აკაკი წერეთელს ეძინა ხოლმე და მერე გალაქტიონ ტაბიძეს

ბაბუა კოტე:

– როგორ თუ ვინ ვართ, ახლა რომ ყველა გენდერულ თანასწორებაზე ლაპარაკობს, რომელ ევროპაში და რომელ ამერიკაში იყო ბანკის დირექტორი რომელიმე ქალი, აქ რომ ბანკის მმართველად დომნა აბუანდაძე დანიშნეს და ჯერ კიდევ როდის იყო მედეა ლაბაძე ათასობით კაცის უფროსი და გალინა დეკანოიძეს ხომ ვერცერთი კაცი ვერ გაუწევდა კონკურენციას საუკეთესო თაობების აღზრდაში

კომენტატორი:

– შეიძლება ამათ გამორჩეთ და პირველად ჭიათურაში არა მხოლოდ საჰაერო საბაგირო გზა გაიხსნა 1954 წელს, არამედ მეოცე საუკუნის დასაწყისში, ჭიათურის შავი ქვის საბჭომ, მთელი საქართველოდან იმდენ ნიჭიერ ახალგაზრდას

დაუნიშნა სტიპენდია, რომ მერე მათ, ევროპის საუკეთესო უნივერსიტეტებში რომ საუკეთესო განათლება მიიღეს, მეოცე საუკუნის ქართული კულტურა, ლიტერატურა და მეცნიერება შექმნეს...

ჟურნალისტი:

– ყველამ იცის სამასი სპარტელის და სამასი არაგველის შესახებ, მაგრამ არავინ არაფერი იცის სამასი ითხვისელის შესახებ და ეს სწორედ იმის ბრალია რომ მთავრობა ჭიათურას, საკმარის ყურადღებას არ აქცევს

ბრიგადირი:

– თქვენ საიდან იცით სამასი ითხვისელის შესახებ?

(ხვიჩა აკვირდება ბრიგადირს ელის მის მორიგ შეცდომას, მაგრამ ბრიგადირი აშკარად კმაყოფილია რომ ამ წინადადებაში მაინც არ დაუშვია არანაირი შეცდომა)

ჟურნალისტი:

– აქ რომ მოვდიოდი, ჭიათურის შესახებ ინფორმაციის შეგროვება დავიწყე

ბაბუა კოტე:

– ის თუ იცით, რომ პრეისტორიული ხანის, მსოფლიოში უძველესი ძაფი სწორედ ჭიათურაში, ძუძუანას მღვიმეშია აღმოჩენილი. ან ის თუ იცით, რომ ჩვენი წითელი მარმარილო გამოიყენეს მეტროს სადგურების მოსაპირკეთებლად თბილისშიც და მოსკოვშიც და მაღლობაც არ უთქვამთ მაშინ და ახლა კი ჩვენი თეთრი მარმარილოც მოუნდათ. ან ის თუ იცით რომ ირლანდიელი სამყურაშვილები წარმოშობით ჭიათურელი სამყურაშვილები არიან

კომენტატორი:

– შეიძლება ამათ ისიც გამოვჩინოთ, რომ საქართველოში პირველი ჩოგბურთის კორტები სწორედ ჭიათურაში გაიხსნა 1892 წელს და ზემოთქმულის ინიციატორს ჯონ ტარსეი ერქვა, მაგრამ ვინც ჭიათურელებს ჩოგბურთი შეაყვარა, იან ჰომერი იყო. ამ ცნობილმა ინგლისელმა ჩოგბურთელმა და მწვრთნელმა, მერე მოგონებები დაწერა და იმ წიგნში განსაკუთრებული პატივისცემით, აკაკი წერეთელს იხსენებდა, რომელიც თურმე ჩოგბურთის პირველმა მატჩებს ჭიათურაში, დიდი სიამოვნებით ესწრებოდა.
სხვათა შორის მერე, თითქმის ასი წლის შემდეგ, ის პირველი კორტები ჭიათურაში, ლევან რაზმაძემ აღადგინა...

(გონა დაღეჭილ ელემენტებს ისევ ჩადებს რადიომიმღებში და რადიოც ისევ ჩაირთვება)

რადიოდირექტორი:

– მეცნიერების ნაწილს უკვირთ რომ ის ადამიანები, რომლებმაც კლინიკური სიკვდილი გადაიტანეს, ერთნაირად აღწერენ იმ სამყაროს, სადაც ისინი აღმოჩნდნენ – მათი უმრავლესობა ასახელებს დიდ მწვანე ველს საოცრად ლამაზი მინდვრის ყვავილებით...

კოტე ბაბუა:

– ჩვენზე არაფერს ამბობენ?

ხვიჩა:

– ჩვენ აღარც გვახსენებენ?!

ბახვა:

– უკვე გადაწყვიტეს ჩვენი საკითხი?

ხვიჩა:

– უკვე გადაწყვეტილია რომ აქ უნდა ჩაგვტოვონ?!

ქვევრიპიდე:

– უკვე გადაწყვიტეს რომ აქ ამოგვხოცონ?!

ჟურნალისტი (სტუმრისკენ ხელს იშვერს):

– ალბათ ამის ადგილი უნდა ვინმეს და ამის გამო ჩვენც ყველანი აქ უნდა ამოვწყდეთ?!

ბრიგადირი:

– ამის თანამდებობას უნდა შევეწვიოთ ამდენი ხალხი და ამის დედის ტრაკი ერთხელაც არ უნდა ვახსენოთ?!

ხვიჩა:

– ამინ!

(ხვიჩა პირჯვარს გადაიწერს და კიდევ ერთხელ, კიდევ უფრო ხმამაღლა იტყვის “ამინ” და სტუმრისკენ დაიდრება იმ ჭურით ხელში, რომელიც უკვე ცარიელია, მაგრამ მინისტრისთვის ჭურის თავში ჩარტყმას, ვერ ასწრებს, რადგან დანარჩენები მას ელობებიან და ხვიჩაც ცდილობს რომ ახლა, რომელიმე მათგანს მაინც ჩასცხოს ორივე ხელით შემართული ჭური.

სხვათა შორის მანამდე, სწორედ ხვიჩა ამბობდა რომ ეს არის ქრისტეს ჭურჭელი, რომელიც ღმერთმა სიყვარულისთვის გამოუგზავნა ამ მაღაროელებს, მაგრამ რას წარმოიდგენდა ვინმე, რომ სწორედ ხვიჩას, ასე დაათრობდა ძველი ღვინო. თუმცა, არც სხვებს ეტყობათ განსაკუთრებული სიფხიზლე და ბოლოს, საერთო ჩხუბში, ყველანი ერთგებიან და არავინ იცის რითი დამთავრდება ეს ყველაფერი, რომ არა საშინელი ხმა, რომელიც ყველას მაშინვე დაადუმებს. ეს არის ნგრევის და აფეთქების საშინელი ხმა, რომელსაც მერე სიჩუმე მოჰყვება და სცენას მთლიანად დაფარავს კვამლი და ბოლი და როცა ნისლი გაიფანტება, მაღაროში ჩარჩენილი ადამიანები, (რასაკვირველია მაყურებლებთან ერთად) აღმოაჩენენ დიდ მწვანე ველს სცენის სიღრმეში – სწორედ იქ, სადაც სულ ცოტა ხნის წინ ყრუ კედელი იყო. ველი არის მწვანე, მაგრამ ის სავსეა დიდი და პატარა ფერადი ყვავილებით და ამ ველს კი ზემოდან დაჰყურებს ულამაზესი ლურჯი ცა და ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს იმ მინდორს, რომელსაც ადამიანები აღწერენ ხოლმე კლინიკური სიკვდილის შემთხვევაში...

ამ სამარისებურ სიჩუმეს კი, კომენტატორი არღვევს, რომელიც ავანსცენაზე დგას და ღიმილით ემშვიდობება მაყურებელს)

კომენტატორი:

– მგონი დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ ჭიათურა მდებარეობს ჭიათურის პლატოსა და მდინარე ყვირილის ვიწრო ხეობაში, ზღვის დონიდან 500 მეტრზე, თბილისიდან 220 კილომეტრის დაშორებით. ჰავა ნოტიო და სუბტროპიკული, იცის ზომიერად ცივი ზამთარი და შედარებით მშრალი, ცხელი ზაფხული. ჰაერის საშუალო ტემპერატურაა +13 გრადუსი და ყველაზე ლამაზი, ჭიათურაში, მაინც გაზაფხულია და ამიტომაც ჭიათურაში, ყველაფრის მიუხედავად, მაინც ყოველთვის გაზაფხულია...

დასარული

(ფარდით ან ფარდის გარეშე, მაგრამ მუსიკის თანხლებით და თანაც აუცილებლად მაჟორულ ნოტზე)